სახალხო გაზეთი

№ 1018 ოთხშაბათი, 16 ოქტომბერი 1913 წ. № 1018

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტ ი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდ. პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკას ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დაბეჭდვა განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა

„რექტიფიკატ" (დ. ზ. სარაჯიშვილის ფირმით მოვაჭრე)

ურჩევს იყიდონ ახლად გამოსული არაყი სახელით: „რექტიფიკატ", რომელიც დამზადებულია **პურის** გაწმენდილ სპირტისაგან, საუკეთესო ღირსებისაა და საგანგებოდ გაწმენდილია. ეს არაყი იყიდება ყველგან.

1522

ანასტასია მიხეილის ასული ფითოევისა შვილებით გულითადის მწუხარებით იუწყებიან გარდაცვალებას ქ. ბაქოში ღამით, 15 ოქტომბერს, ქმრისა და მამისა

კონსტანტინე იაგორის ძის ფითოევისას

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1537.

გიორგი კონსტანტინეს ძე ფითოევი შვილებით გულითადის მწუხარებით იუწყებიან გარდაცვალებას ქ. ბაქოში ღამით 15 ოქტომბერს, ძვირფასი მამისა და პაპისა

კონსტანტინე იაგორის ძის ფითოევისას

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული 1537.

ნავთის სამრეწველო და სავაჭრო საზოგადოების „ი. ე. ფითოევი და კომპ." გამგეობა იუწყება გამგეობის თავმჯდომარის

კონსტანტინე იაგორის ძის ფითოევის

გარდაცვალებას ქ. ბაქოში, ღამით, 15 ოქტომბერს. პანაშვიდი დანიშნულია 16 ოქტომბერს ნაშუადღევის 2 საათზე გამგეობის კანტორის სადგომში, ლერმონტოვის ქუჩა, 20. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1537.

ნავთის სამრეწველო და სავაჭრო საზოგადოების „ი. ე. ფითოევი და კომპ." კანტორის მოსამსახურენი ღრმა მწუხარებით იუწყებიან საზოგადოების თავმჯდომარის

კონსტანტინე იაგორის ძის ფითოევის

გარდაცვალებას ქ. ბაქოში, ღამით, 15 ოქტომბერს. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1637.

ქ. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი

ორშაბათს, 21 ოქტომ., 1913 წ. ქართ. სახ. წარმ. მმართ. წრის მიერ, წრის ნივთიერ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მსახიობთ **ქ. ნინო ჩხეიძის ასულის და ბ. ალ. იმედაშვილის მონაწილეობით** წარმოდგენილი იქნება პირველად დრამა

ტაიფუნი

4 მოქ. მ. ლენგიელისა, თარგ. ელ ანდრონიკაშვილისა.
მონაწილეობს წრის ყველა სცენის მოყვარე.

დასაწყისი საღ. 8½ ს ✦ ადგილების ფასი 5 კ—50 კ.

რეჟისორი **ალ. წუწუნავა.** თანაშემწე **ნ. ჭანკვეტაძე.** წრის ადმინისტრაცია.

ფარდ. ახდ. შემდეგ თეატ. დარბაზში შესვლა აკრძალულია. 1486

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, ხაკურ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მალალაშვილი ზ. ზ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. ექ.-ქალ. **ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულებ.	ექ.-ქალ. **ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½ **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1. **ფონდოვევი გ ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. **ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wassermann.** რეაქციისათვის 50 კ. საწოლი 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606" და „914" **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1466

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** წარმოდგენა 10—6.

ხუთშაბათს, 17 ოქტომბერს, ქართ. დრამ. საზოგად. დასის მიერ **ნ. ჩხეიძის** ასულის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

და ბეატრისა,

მეტერლინკისა, სასწაული 3 მოქმედ. თარგმანი არ. ავალიშვილისა.

პიესაში მონაწილეობას მიიღებს მომღერალთა გუნდი და ახალი კლუბის ოკესტრი **ბ. პრესმანის** ლოტბარობით.

მონაწ. მიიღებენ ქ-ნნი: ასათიანისა, თოიძისა, მდივანისა, პიერეტა, სალარაძე, ქიქოძისა, შოთაძისა და ჩხეიძის ასულნი. ბ-ნნი: არადელი-იშხნელი, ბარველი, გომელაური, თარალაშვილი, იმედაშვილი, სარაული, ურუშაძე, ხონელი.

დასაწყ. საღ. 8 ს. ✦ ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

რეჟისორი **მ. ქორელი.** ადმინისტ. ქართ. დრამატ. საზოგად.

ანონსი: მზადდება წარმოსადგენ. ოედიპოს მეფე, კულტურული მკვლელობა, მორევში და სხვ. 1533

ქუთაისის ქალაქის თეატრი

კვირას, 24 ოქტომბერს გაიმართება

პირველი ქართული სიმფონიური

კონცერტი

კ. ფოცხვერაშვილისა

შემდეგის პროგრამით: 1. „ქართული მუსიკა და მისი ჰარმონია — კონტრაპუნქტი, წაიკითხავს **კ. ფოცხვერაშვილი.** 2. ა) პირველი რაფსოდია კ. ფოცხვერაშვილისა, ბ) ნომრები მ. ბალანჩივაძის ოპერა „თამარ ცბიერი"-დან, გ) „თქმულება ამირანზე" სიმფონიური ესკიზი (სიუიტა) კ. ფოცხვერაშვილისა, დ) ქართული ეროვნული სიმღერები შემუშავებული ხორისა და ორკესტრისათვის კ. ფოცხვერაშვილის მიერ, ე) ქართული მარში და სიმფონიური ნომრები მ. იპოლიტოვ-ივანოვის ოპერა „ღალატიდან". 3. სხვა და სხვა ნომრები კ. ფოცხვერაშვილის ოპერა „კერპთა დამხობიდან". ა) ქურუმთა და ქურუმ ქალთა საღვთო როკვა, ბ) ფინალი (პექა-ქუხილის სცენა), გ) არია (ლოცვა) ქურუმ ქალისა დ) „დიდება არმაზსა" (ჰიმნი), ე) ქართული ეროვნული სიმღერები კ. ფოცხვერაშვილისა. მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნი ნ. ა. ვესელოვზოროვისა (სოპრანო) (შეასრულებს ხოროსთან ერთად ქურუმ ქალის არიას), ტფილისის „ახალი კლუბის" სიმებიანი ორკესტრი, ქუთაისის ქართველ მომღერალთა საზოგადოების ქალ-ვაჟთა გუნდი და სხვანი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე ბილეთები იყიდება ბ-ნ თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში.

ლოტბარი **კ. ფოცხვერაშვილი.** 1536

ახალი კლუბი

3 ოქტომბერს გადავიდა

საზამთრო შენობაში·

1530

ტფ. ქალაქის მოურავი

აუწყებს ქალაქის მცხოვრებთ, რომ

ხუთშაბათს, 17 ოქტომბერს, ტფილისს დაბრუნდება

მისი ბრწყინვალება, მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის ნამესტნიკი კავკასიაში

გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი თვისი მეუღლითურთ ე. ა. ვორონცოვ-დაშკოვითურთ.

ნამესტნიკი დღის 4 საათზე ჩამობრძანდება. დარწმუნებული, რომ მთელი ქალაქის მცხოვრებნი ინაწილებენ სიხარულს დიდად პატივცემულ **გრაფის ნამესტნიკის** მშვიდობიანად დაბრუნების გამო, ქალაქის თავი, ქალაქის გამგეობის სახელით, მოუწოდებს მცხოვრებთ: **მიეგებნენ ნამესტნიკს და მორთონ თავიანთი სახლები და მაღაზიები ყვავილებით, ხალიჩებით, ბაირაღებით და სხვა.** 1538

ქ-ნი პორტუგალოვისა

აცხადებს, რომ

საფეხრიკო მაღაზიაში, რომელიც ნიკოლოზის ხიდთან № 23—24 არის, **ზამთრის სეზონის მოახლოვებისა გამო დანიშნულია**

დიდი ვაჭრობა

მამაკაცთა, ქალებისა და ბავშვების ტანისამოსისა.

30 პროც. დააკლდება ფაბრიკის ფასს.

ვიმედოვნებ, ვინც ჩვენს მაღაზიაში იყიდის, კმაყოფილი დარჩება. ამასთანავე მოგახსენებთ, რომ [illegible] **ახალ-ახალი საქონელი რომელიც ძვირად არ იყიდება.**

1491 პატივისცემით **ქ-ნი პორტუგალოვისა.**

აგენტმა

ივანე გრიგოლის ძემ

ხალათიანმა

ავადმყოფობის შემდეგ **განაახლა** განცხადებებისა და ხელის-მოწერის მიღება ადგილობრივისა და ქალაქ გარეთულ გამოცემებისთვის. წინანდელივით ეხლაც სინდისიერად და კარგად ასრულებს თავის მოვალეობას. მიხეილის პრ. № 119, სახლი ფორიერისა. ტელეფონი 697. 1493



პირველ-ხარისხოვანი

დიდი ცირკი

ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.

დღეს, 16 ოქტომბერს, 1913 წ. გაიმართება

2 დიდი წარმოდგენა

უკანასკნელი დღეები გასტროლისა საქვეყნოდ ცნობილის, ველოსიპედზე შეუდარებელის მოსიარულისა, ვირტუოზის **ჩისტერ დიკისა,** რომელიც შეასრულებს იშვიათსა და გონებისათვის მიუწვდომელ ნომრებს. სანახაობათა სანახაობა! უდიდესი ატრაქციონი! ხელოვნების უკანასკნელი სიტყვა! ყველგან ფურორი! სენსაცია! აღტაცება! ტაშის-ცემა! ოთხ და ექვს საჯდომიან ველოსიპედზე „ტანდემ"-ზე ვარჯიში. ჩისტერ დიკი საზოგადოებას აღტაცებაში მოიყვანს! დასასრულ „საბედისწერო გადახტომა"—სალტო-მორტალი ველოსიპედით, ცირკის თაღში განავარდება დატვირთულ ეტლზე. მოსკოვში აკვარიუმის ბაღში ჩისტერ დიკის გასტროლებს დიდძალი ხალხი ესწრებოდა. დირექცია სთხოვს პატივცემულ ტფილისის საზოგადოებას, რომლის ყურადღება დაიმსახურა, რაც ცირკში მოსიარულე ხალხის რიცხვი აშკარაა. დარწმუნდეს ფენომენალურ ხელოვნების სინამდვილეში! ამ საღამოსვე მონაწილეობს ყველა პირველ-ხარისხოვანი არტისტები. გამოსვლა გამოჩენილი გიმნასტის და მოჯირითე ლამაზ ქალის M-le **ნაცისა.** დაწვრილებით აფიშებში, დღეისთვის კონტრამარკები არ გამოდგება. გამოსვლა ჩისტერ დიკისა მე-3 განყოფილებაში, დასაწყისი 10 საათზე

დასაწყ. საღამ. 8 საათზე. დირექცია **ძმ. ესიკოვსკებისა.**

ანონსი: ამ დღეებში გაიმართება გამოჩენილ ფალავანთა ფრანგული, კავკასიური და თავისუფალი ამერიკული ჭიდაობა. 700

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

წიგნები: ისტორიისა, საეკლესიო და სარწმუნოებო მასალები:

ჭავჭავაძე ი. აი ისტორია!	35 კ.
ჭყონია. ისტორიული ნარკვევი	1—50 „
ჭიჭინაძე ზ. ისტორია ქართ. ჟურნ.-გაზეთებისა	15 „
— კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში	50 „
— „ „ ბათომში	10 „
— კათოლიკეთა ეპისკოპოსის მობრძანება საქართველოში	10 „
— მესხეთ-ჯავახეთის გათათრება	10 „
— სოლომონ ლეონიძე	10 „
— ქართ. კათოლიკეთა სასულ. მოღვაწენი და მესხეთ-ჯავახეთის ცნობა	25 „
— ქართვ. კათოლიკეთა ვაჭრობა,	30 „
— ქართვ. კათოლ. ყველა ასპარეზზე	25 „
— ქართული სტამბა	10 „
— საქართველოს ცხოვრება	1 მ.—
— მუსულმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში	60 „
— ისტორია ოსმალეთის ყოფილი საქართველოსი	50 „
ახალი წიგნები:	
ერის სულის მეფე, ლეგენდა, რუხაძე	5 „
ბაირონიზმი და მსოფლიო მწუხარება	25 „
ყოველის მხრიდან, ლომაურისა	10 „
გენეალოგია დიდი ალექსანდრე მეფისა	30 „
საქართველოს გმირი გიორგი სააკაძე	80 „
Списокъ пьесъ на груз. языкѣ разрѣшенныхъ къ представленію	40 „

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1913

ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

ემილ ზოლას

„მაღაროებში მომუშავენი"

(ქვა-ნახშირის მთხრელები)

ივ. გ. ავალიშვილის ნათარგმნი.

—✦✦ წიგნის ფასი 85 კაპ. ✦✦— 1519

ელექტრონის, რენტგენის სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ნერვებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791.

1468

ტფილისის საპოლიტეხნიკო კურსები

ინჟენერ მ. ნ ვინოგრადოვისა.

განყოფილებანი: სამიწად-მზომელო, საალმშენებლო, სასოფლო-სამეურნეო და კომერციული. სამიწად-მზომელო და საალმშენებლო განყოფილებებზე მსურველთ იღებენ. **მეცადინეობა 7 ოქტომბერს** დაიწყო. მოწაფეების მიღება გრძელდება. კურსებზე იღებენ სამოქალაქო სასწავლებელში სწავლა დამთავრებულთ გამოუცდელად, დანარჩენებს კი გამოცდით. კურსები იმყოფება სასულიერო სემინარიის ძველს შენობაში. 712

ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა

გ. მეჭრაბიანცი

დაბრუნდა უცხოეთიდან და განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება. სნეულებანი ფილტვებისა—**ჭლექი**— და გულისა შეთანაბრებული სპეციფიური **ტუბერკულინური წამლობა. ხელოვნური პნევმოტორაქსი. რენტგენის ელვარებური სხივებით ფილტვებისა და გულის გაშუქება.**

ყოველ დღე, 9—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. კვირაობით 9—12 საათ.

9—10 სათ. **საწყალებს უფასოდ.**

ბებუთოვის ქ. სახ. 23, ტელეფონი 7—92. 1516

მედიცინის დოქტორი

ი. გ. ჩუდნოვსკი

ნერვებისა და შინაგან ავადმყოფობა. წამლობა ელექტრონით და ემანაციით. რადია. მიიღებს ყოველ დღე, დილის 10—111, საღამოს 5—8 ს. კიროჩნის ქ. სახ. № 18. ტელ 1090.. 1528

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3 — 5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმი ივ. გომართელი

ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფთა მიღება დილის 8—12 საათ. საღ. 5—7 საათ. ოლგას ქუჩა, № 20. ტელ. 633. 654

ექიმი კბილისა ა. მ. მუმულია-კუხალაიშვილი

იღებს დილით 9—2 საათამდე, საღამოს 4—7 ს. ანდრეევის ქუჩა № 81, ვაგზლის ახლო. 697

ვაგზლის კერძო
სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.
ე. ს. გაშაკაძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს.
ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.
ბ. ა. პაპაშვილი. ყოვ. დღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.
ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.
ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.
მ. მ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით
წამლობა „606“-ით 1462

ექიმი შ. ა. მიქელაძე 15 ივნისიდან მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6 სახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ექიმი ე. ი. მინასიანცი იღებს ყოველ დღე, შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლავთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) ძლექ. და დაბალი ციება პარიზულ კლინიკ. პროფ. Mathieu. იღებს დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი, სიხყილ. ქ. № 86, ტელ. № 670. 1071

ექიმი ვ. მ ძე მანსვეტაშვილი გადავიდა ახალ სადგომზე: ოლღის ქუჩა, სახ. ძულიქ-აზარიანცისა, № 3. შინაგანი, ძარღვების და ბავშვების ავადმყოფობათა. იღებს 10—12 დილით, 6—7 საღამოთი. ტელეფონი № 16—02. 707

ექიმი ვ. მუსხელიშვილი მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

კბილის ექიმი ნინო რუხილაძე გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

ექიმი პ. ლ. კიკალიშვილი იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5½ საათიდან 7 საათამდე. კახეთის ქუჩა № 2, ტელეფონი 15—27. 1502

ექიმი ი. ზ. გელიშვილი სწამლობს შინაგან, თვალისა და ბავშვთა ავადმყოფობას დილით 9—12 საათ., საღამოს 5—7 სათ. 19 თებერვლის ქ. (რიყის ქ.) № 17, ტრამვაის გაჩერებელთან, მისიონერთა ახალ ეკლეს. გასწვრივ. 688

საბურთალოზე
მშვენიერ ალაგას
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღის ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 122

ტფილისი 16 ოქტომბერი

აგრარული რეფორმა ინგლისში.

ინგლისი ერთი იმ ბედნიერი ქვეყანათაგანია, სადაც სახელმწიფოებრივი შემოქმედება მუდმივ დუღილშია. ცხოვრება წინ მიდის და მთავრობაც, შეძლების დაგვარად, ცდილობს ცხოვრებას უკან არ ჩამორჩეს. იგი ანხორციელებს რეფორმებს, რომელთა მნიშვნელობაც იმდენად დიდია, რომ ბევრს ისინი თითქმის რევოლიუციონურადაც კი მოეჩვენება. მოიგონეთ ლორდთა პალატის უფლებათა შეზღუდვა. ლორდთა პალატის ვეტოს უფლება დიდხანს აფერხებდა ლიბერალურ რეფორმებს და, სხვათა შორის, ირლანდიის ავტონომიის განხორციელებასაც. ლიბერალურმა მთავრობამ ჯიუტს ლორდთა პალატას ვეტოს უფლება წაართვა. მოიგონეთ მოხუცებულთა პენსიები, შემოსავლის კვალობაზე გადასახადის დადება და სხვა ამგვარი რეფორმები, რომელთა დედა-ძარღვიც არის ცოტად თუ ბევრად თანაბარი განაწილება მცხოვრებთა შორის მატერიალური სიმდიდრისა. თამამად და მოურიდებლად ანხორციელებს ინგლისის ლიბერალური მთავრობა პროგრესიულ რეფორმებს, თუმცა ყოველთვის მათი სურვილები წინ ეხეთქება კონსერვატორების წინააღმდეგობას.

ფრიად საყურადღებო რეფორმის განხორციელებას აპირებს ამ ჟამად ლლოიდ-ჯორჯი. აგრარულ რეფორმაზე მოგახსენებთ. ლლოიდ-ჯორჯი ემყარება იმ ძირითად მოსაზრებას, რომ ლენდლორდების მიწები ოდესღაც სათემო მფლობელობას შეადგენდა. ამ ლენდლორდებს, უსამართლოდ დაუსაკუთრებიათ მიწები და ამიტომ მთავრობა ვალდებულია თავის მზრუნველობის ქვეშ მიიღოს სასოფლო-სამეურნეო მრეწველობა და აგრარული მოწესრიგება. სახელმწიფოს უფლება უნდა ჰქონდეს, სამართლიანი შეფასებით, გამოისყიდოს ის მიწები, რომელთა გამოსყიდვაც მას საჭიროდ მიაჩნია, და მოაწესრიგოს ურთიერთობა მემამულეთა და მოიჯარადრეთა შორის. ამ რთულ ორგანიზაციას სათავეში უნდა ჩაუდგეს განსაკუთრებული სამინისტრო—მიწისა. ამ სამინისტრომ უნდა ამა თუ იმ რაიონისთვის განსაზღვროს სამართლიანი საიჯარო გადასახადი, განსაზღვროს მინიმალური სამუშაო ხელფასი და სხვა. გარდა ამისა, სამინისტრო ვალდებულია ლენდლორდებისაგან შეისყიდოს ის მიწები, რომლებსაც თითონ ვერ უვლიან და ამიტომ გავერანებულია. ამნაირის ზომით დღეს უპატრონოდ დარჩენილი მიწები კულტურულ სახეს მიიღებენ.

როგორც ჰხედავთ, ინგლისის ლიბერალურ მთავრობას საჭიროდ მიაჩნია, სახელმწიფომ აქტიური მონაწილეობა მიიღოს მიწის მოწესრიგების საქმეში და ამით წინ წასწიოს სასოფლო მეურნეობა, რაც მთელი ინგლისის ეკონომიურ ცხოვრებასა და კეთილ-დღეობასაც წინ წასწევს. რა თქმა უნდა, ეს რადიკალური რეფორმა ინგლისში ყველას არ მოეწონებოდა. გამოჩნდნენ მოწინააღმდეგენიც, რომელნიც იძახიან, ეს რეფორმა კი არა, რევოლუცია არისო. „დეილი ტელეგრაფი“ ამბობს, ლლოიდ-ჯორჯის რეფორმა ნამდვილი რევოლუციააო. შიშის ჟრუანტელი გვივლის, როდესაც გავიხსენებთ, რა მოუვა რამდენიმე წლის განმავლობაში ინგლისის სოფელს, როდესაც რადიკალურ კაბინეტის მიერ დანიშნული მოხელენი რეფორმის განხორციელებას შეუდგებიანო. კონსერვატიული გაზეთი ამბობს, რეფორმა მხოლოდ სოციალისტებს დააკმაყოფილებს, პრაქტიკულად მოაზროვნე ხალხში კი შიშს აღძრავს, რადგანაც ჯერ არავინ იცის, სადამდის შესტოპავენ ლიბერალები და რამდენად დაარღვევენ კერძო საკუთრების უფლებას; „ტაიმს“-ი ხომ ათას უბედურებას უწინასწარმეტყველებს ინგლისს. კაბინეტი,—ამბობს გაზეთი,—თანდათან მიაქვს მიმდინარეობას, რომელიც უდიდეს კატასტროფას უახლოვებს.

ასეთი უგულით დახვდა ლლოიდ-ჯორჯის აგრარულ რეფორმას ინგლისის კონსერვატიული პრესა. რა თქმა უნდა, არიან მომხრეებიც. მუშათა პარტიის ორგანო თანაგრძნობით შეხვდა რეფორმის პროექტს, რომელიც მიწას უბრუნებს ხალხს და ამით რამდენადმე მაინც ანხორციელებს მუშათა პარტიის იდეალებს. რადიკალური გაზეთი ამბობს, ეს რეფორმა არის მანქანა, რომელიც უმტკივნეულოდ მოსპობს მსხვილ მიწადმფლობელობასაო.

ამ რიგად, ლიბერალურ მთავრობის ახალი რადიკალური პროექტი დიდს მითქმა-მოთქმას იწვევს ინგლისში. უეჭველია ლლოიდ-ჯორჯს დიდი ბრძოლის გადატანა დასჭირდება. მაგრამ ინგლისის მთავრობას ხელთ უჭირავს უდიდესი ძალა—თანაგრძნობა ინგლისის ამომრჩევლებისა და სასტიკი კონსტიტუციონალიზმი. ამ ძალაზე დამყარებულ ლიბერალურს მთავრობას ბევრჯელ გაუმარჯვნია კონსერვატორებზე და სწორედ ესეც მისცემს იმედს, რომ ამ ბრძოლაშიც გამარჯვებული გამოვა.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენო“ სწორედ რუსეთის ზომიერ მიმართულების პრესაზე ზედგამოჭრილი. ყოველ წლივ ერთი და იგივე გვესმის —„ოკრაინებზე“ დიდძალი ფული იხარჯება, სახელმწიფოს კი შემოსავალი იქიდან არ აქვსო. მაშინ, როდესაც ოფიციალური ცნობების მიხედვითაც კი შეიძლება დამტკიცდეს, რომ რუსეთის ხაზინაში ვეებერთელა თანხა შედის ყოველ წლივ, იმ შემთხვევაშიც კი მოგვბიდან რომ გამოვრიცხოთ ამიერ-კავკასიაში სახელმწიფო კონებად გადაქცეული მამულები. არ გვიკვირს, როდესაც „გოლოს მოსკვი“ შემდეგსა სწერს:

„აქამდე ჩვენი „ოკრაინები“ წარმოადგენდნენ შიდა რუსეთიდან ფულის საწუწნ მანქანას. ისინი ხარჯების წყაროდ იყვნენ გადაქცეულნი. გამონაკლისს არ შეადგენდნენ ისეთი ოკრაინებიც კი, როგორც თურქესტანი და ამიერ-კავკასიაა, რომელთა გეოგრაფიულსა და ჰავის პირობებში შეიძლებოდა უძვირფასეს კულტურათა განვითარება; მაგრამ ეს „შეიძლება“ განუხორციელებული დარჩა“..

სწორედ ესაა საქმე და არა ის, რაზედაც წუწუნებს „გოლოს მოსკვი“. ამიერ-კავკასია იმ სახითაც კი, როგორისაც დღეს არის, დიდს შემოსავალს აძლევს სახელმწიფოს, მაგრამ ვისი ბრალია თუ მთავრობას „უძვირფასეს კულტურის“ ბუდედ ვერ გადაუქცევია მხარე?! განა ჩვენი ბრალია, რომ რუსეთის ბიუროკრატიამ ისეთ სიმდიდრესაც კი ვერ მოუარა, რომელიც ყველგან „რუსეთის გვირგვინის საუკეთესო მარგალიტად“ ითვლება? შორეულ აღმოსავლეთის მაგალითი ამაზე საუკეთესო პასუხს იძლევა: იმ ადგილებში, სადაც რუსებმა ვერა, გააკეთეს რა, ეხლა იაპონელები აუარებელ სიმდიდრეს ჰპოულობენ. „გოლოს მოსკვი“-ც კარგად უნდა გრძნობდეს ამას მაგრამ ზოგიერთებს ხომ მუდმივ სენად გადაჰქცევია „ოკრაინებსადმი“ საყვედური. „გოლოს მოსკვი“ შემდეგ განაგრძობს:

„ჩვენი, მოსაბრუნებლად მძიმე, სახელმწიფოებრივი მანქანა ისწრაფის რომ ყველაფერი გაითვალისწინოს, და აღკვეთოს ბოროტ-მოქმედებანი, რომელთაც იგი სწორედ მაშინ ჰხედავს, როდესაც რომელიმე ოლქში მთავრობის მუშაობასთან ერთად, საჭიროა კერძო მუშაობაც. გაიმართება თათბირი და გეგმების შედგენა, თუ როგორ დაიცვან ხაზინა მაშინ, როდესაც მისი დაზიანება არავის არ განუზრახავს. ამასობაში გადის დრო“...

უმთავრესი შემაფერხებელი მიზეზიც სწორედ ეს საზოგადოებრივი მუშაობის უნდობლობაა და სანამ ეს ლოზუნგი ერთად-ერთი საზომი იქნება ოკრაინების კეთილსაიმედობისა, ეკონომიურად მისი აღორძინებაც შეუძლებელია.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **მეფის მოადგილე გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი** მეუღლითურთ ხუთშაბათს, 17 ოქტომბერს, ნაშუადღევის 4 საათზე ტფილისს დაბრუნდება. რკინის გზის სადგურზე გრაფს დაუხვდებიან სამხედრო და საერობო უწყებათა უმაღლესი წარმომადგენელნი, მანდილოსნები და მთელი სამღვდელოება ყველა რჯულისა. მეფის მოადგილე ღია ეტლით ვაგზლის ქუჩით პიროგოვის ქუჩაზე გამოვლის, ჩამოვა მიხეილის პროსპექტზე, და ვერის აღმართითა და შემდეგ გოლოვინის პროსპექტით სასახლეში მივა. მთელს გზაზე, რომლითაც მეფის მოადგილე გაივლის, დამწკრივებულნი იქნებიან ტფ. ყველა საშუალო სასწავლებლისა, და საქალაქო სკოლების მოსწავლენი მუსიკით. მეფის მოადგილის სასახლის წინ გამართული იქნება ქალაქის ხარჯით საგანგებოთ მორთული, ფიცრებით აღმართული კვარცხლბეკი ზედ წარწერით „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“. აქვე იდგებიან ამქრები დროშებით, მდაბიო მოქალაქენი 10 დროშით. მოედანზე, სასახლის წინ, იდგებიან ტფ. ქალაქის საბჭოს ხმოსნები ქალაქის მოურავისა და გამგეობის მეთაურობით, ვაჭარნი, მდაბიო მოქალაქენი, ხელოსნები და წარმომადგენელნი რუსულ, ქართულ, სომხურ, თათრულ და სხვა საზოგადო, კულტურულის, საქველმოქმედო და სამეცნიერო დაწესებულებებისა. აქ ქალაქის მოურავი მეფის მოადგილეს მიეგებება, ქალაქის საბჭოს სახელით სიტყვას წარმოსთქვამს და მიართმევს გრაფს პურ-მარილს, ხოლო გრაფინიას—თაიგულსა. მთელი ქალაქი ამ დღეს მორთული იქნება ყვავილებითა და ბაირაღებით. საღამოს ქალაქს გაანათებენ. ამ დღეს ყველას ნება აქვს, ქუჩაზე მუსიკით გაიაროს და დრო ლხინსა და მეჯლისში გაატაროს.

✦ **ძმათა ზუბალაშვილთა საბავშვო საქალაქო საავადმყოფოს** კურთხევა დანიშნულია 27 ოქტომბრისათვის. საავადმყოფოში ავადმყოფ ბავშვებს 1 ნოემბრიდან მიიღებენ.

✦ **უხვი შეწირულება პოლიტეხნიკუმისათვის.** მეფის მოადგილემ გრაფმა ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვმა ტფილისში განზრახულ პოლიტეხნიკუმს 100,000 მან. შესწირა საკუთარ შენობიდან. ეს ფული მეფის მოადგილის მამულების კანტორისაგან ბანკის საშუალებით უკვე მიიღო მთავარმა საპოლიტეხნიკუმო კომიტეტმა. კანტორამ ამასთანავე აცნობა კომიტეტს, რომ ტფილისს დაბრუნების დროს გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი თვითვე გადასცემს კომიტეტს ამ შეწირულების ზოგიერთს პირობასო. ამ უხვ შეწირულების გამო მთავარ საპოლიტეხნიკუმო კომიტეტის საქმის მწარმოებელმა თ-დმა გ. მ. თუმანოვმა ქალაქს საბჭოში საკითხი აღძრა, ისარგებლონ ამ მისაბაძ მაგალითით და ამ დღეებში ქალაქის საბჭოს საპოლიტეხნიკუმო კომისიისა და ქალაქის გამგეობის შეერთებული კრება მოიწვიონ მცხოვრებთა მიმართ მოწოდების შესამუშავებლად შეწირულებათა შეგროვების შესახებ.

✦ **„კავკასიელ ქალთა საზოგადოებაში“ შესდგა კომისია,** რომელსაც მინდობილი აქვს შეიმუშაოს საკითხი, რუსეთში უკვე არსებულ ქალთა დამცველ საზოგადოების მზგავსი საზოგადოების დაარსებისა ჩვენში. ჯერჯერობით „კავკ. ქალ. საზოგადოებას“ განზრახვა აქვს დაიწყოს მოქმედება იმით, რომ მოაწყოს ტფილისში სამუშაოს საშოვრად ჩამოსულ ახალგაზრდა ქალთათვის თავშესაფარი და აგრეთვე ბიურო, რომლის მიზანიც იქნება სამუშაო მოუპოვოს უმუშავარ ქალებს. საზოგადოებას ჯერ არა აქვს საბოლოოდ გადაწყვეტილი; დაარსებს „რუსეთის ქალთა დამცველ საზოგადოების“ ფილიალურ განყოფილებას, თუ ცალკე, სრულიად დამოუკიდებელ საზოგადოება მოაწყობს.

✦ **პრემიებით დაჯილდოვება ლამაზ სახლებისა.** როგორც ვწერდით, ქალაქის გამგეობამ შეიმუშავა პროექტი პრემიით დაჯილდოვებისა იმ სახლებისა, რომელსაც ფასადი სხვა სახლებზე ლამაზი აღმოაჩნდება. ეს პროექტი 14 ოქტომბერს ქალაქის საბჭომ განიხილა. ამ პროექტის წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრა ხმოსანმა ა. ს. ბაზოვმა და აღნიშნა, რომ ქალაქის გამგეობამ იმის მაგივრად, რომ ხელი შეუწყოს გიგიენისა და სანიტარიის მხრივ რიგიან სადგომების აშენებას, გამოჰკიდებია ლამაზ ფასადიან სახლებსაო. მას მხარი დაუჭირეს ხმოსნებმა პ. ა. გოთუამ და ს. ხუნდაძემ. საბჭომ ხმის უმეტესობით გამგეობის დადგენილება დაამტკიცა.

✦ **„ფუნიკულერზე“.** 13 ოქტომბერს კრება მოხდა მამადავითზე მიწების მესაკუთრეებისა, რომელთაც საჭიროდ აღიარეს, ამ ადგილის გამშვენიერება წყალის გაყვანით, გზების გაკეთებით და სხვა და დაადგინეს, შეადგინონ საგანგებო ამხანაგობა. ამხანაგობის წესდების შესამუშავებლად ცალკე კომისია აირჩიეს.

✦ **ხილისა და ბოსტნეულის მეორე გამოფენა-ბაზრის** საექსპერტო კომისიის უკანასკნელი კრება დღეისთვის არის დანიშნული პრემიების დასანიშნავად.

დღეს გამოფენა-ბაზართან აჩვენებენ ყუთებში ხილის ჩაწყობის წესებს.

✦ **მგოსანი ვაჟა-ფშაველა,** რომელიც ამას წინად ტფილისს ჩამოვიდა, ამ ჟამად შეუძლოდ არის და აგერ მეხუთე დღეა ლოგინში წევს.

✦ **წესიერ დასვენების** სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო ზედამხედველებმა ვ. ზავროვმა და მ. თათეოსიანცმა 13 და 15 ოქტომბერს ქალაქის მერვე და მეცხრე უბანში 28 ვაჭარს შეუდგინეს ოქმი. ამას გარდა 6 ოქმი შეუდგინეს ტრამვაის დირექციას ქუჩების დაუგველობისთვის.

✦ **„ვეფხის ტყაოსნის“ ახალი (მე 21) გამოცემა ი. აბულაძის რედაქტორობით** უკვე იბეჭდება. სხვა არსებულ გამოცემებთან შედარებით ამ გამოცემას ის განსხვავება ექნება, რომ ახსნილი და განმარტებული იქნება ყველა, დღემდე გაუგებარი, როგორც უცხო, ისე წაინდა ქართული სიტყვები. ამას გარდა წინასიტყვაობის სახით წიგნს დართული ექნება ნაწარმოების ვრცელი გამოკვლევა. განსაკუთრებული ყურადღება ექნება მიქცეულ აგრეთვე ტექსტის კრიტიკულ განხილვას. წიგნის რედაქცია ცდილობს ამ გამოცემამ დააკმაყოფილოს, როგორც წმინდა მეცნიერული, ისე ფართო მასის მოთხოვნილება. წიგნი იანვრამდე გამოვა.

✦ **ნ. ფ. რუდოლფი,** კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი, ჩრდილოეთ კავკასიას გაემგზავრა.

✦ **მუზეუმი.** მიწად-მოქმედების დეპარტამენტს განზრახვა აქვს, კავკასიის სააბრეშუმო სადგურთან მეფუტკრეობის ნაწარმოებთა მუზეუმი დააარსოს. ამ საქმისთვის 500 მან. გადასდებს.

✦ ტფ. ოლქის სასამართლოსთან არსებულ **ნაფიც ვექილთა კონსულტაციამ დაადგინა,** 1 ნოემბრისთვის მესამე სამომრიგებლო განყოფილებასთან თვისი განყოფილება დააარსოს.

✦ **ცეცხლისაგან დამწვევ საქალაქო საზოგადოების საქმეების შესასწავლად** არჩეულ იქმნა საგანგებო კომისია, რომელშიაც შედიან: ქალაქის გამგეობის წევრი გ. დ. ჟურული და ხმოსნები ა. ი. მიტკევიჩი, ს. ხ. სულხანოვი, მ. ა. ჯაბარი, რ. ა. იოანისიანი, პ. ს. ვასილიევი და ლ. გ. ევანგულოვი.

✦ **ბოროტმოქმედებათა რიცხვი.** წარსულ სექტემბერის განმავლობაში ტფილისში 84 ბოროტმოქმედება მომხდარა. ბოროტმოქმედების ადგილას ამავ ხნის განმავლობაში 17 კაცი შეუპყრიათ.

✦ **ნ. პ. პეტერსონი,** მეფის მოადგილის კანცელარიის დირექტორი, პეტერბურგიდან ტფილისს დაბრუნდა.

✦ **ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის სამმართველოს შენობის** პროექტი უკვე შემუშავებულია. შენობა დაჯდება 753,000 მან. მთელის მოწყობილობით კი 900,000 მან. დაჯდება.

✦ **გამოფენა-ბაზარი.** კავკასიის მეფუტკრეთა საზოგადოებამ დაადგინა: შობის უქმეებში გამართოს მეფუტკრეობის ნაწარმოებთა გამოფენა-ბაზარი კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შენობაში, ანანოვის სახლში (ვერის დაღმართზე) და ავლაბარში.

✦ **პ. მირიანაშვილს შეუკრებია ყველა ვარიანტი** „ამირანის თქმულებისა“ და მალე ცალკე წიგნად გამოსცემს. წიგნში ჩართული იქნება ოცამდე ნამდვილი ქართული ხასიათის სურათი, ქართული გიმნაზიის მოწაფის ქიქოძის მიერ ნახატი. ეს პირველი ხალხური გამოცემა იქნება ფრიად სასურველად შედგენილი და დასურათებული.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **მევენახეობისა და მეღვინეობის** საგუბერნიო კომიტეტის კრება მოხდა 14 ოქტომბერს კომიტეტის თავმჯდომარის ბ-ნ პავლოვსკის თავმჯდომარეობით. კრებაზე დიდი კამათი გამოიწვია საკითხმა: მთელი ტფილისის გუბერნია საშიშად იქმნეს აღიარებული ფილოქსერის მხრივ თუ არა. კრებამ ამ მხრივ საშიშრად იცნო მთელი გუბერნია და დაადგინა: სავენახე მთელი მასალის გადაზიდვა-გადმოზიდვის ნება დართოს მემამულეთ ტფილისის გუბერნიის ერთის ადგილიდან მეორეში. განსაკუთრებულის აზრისა დარჩა მხოლოდ ბ-ნი ვ. ი. რცხილაძე, რომელიც ცალკე მოხსენებას წარუდგენს დეპარტამენტსა. მეორე საკითხი, რომელსაც შეეხო კრება, იყო სახელმწიფო სანერგეების გადაცემა კომიტეტის ხელში. ეს საკითხი გადაუწყვეტელი დარჩა და ამის განხილვა გადაიდო იმ კრებისათვის, რომელიც დაიწყება 8 ნოემბერს და რომელშიაც მონაწილეობას იღებენ მთელი კომიტეტები კავკასიისა. უფროსს ინსტრუქტორების ოთხის ახალ შტატის სამუდამოდ დატოვების საკითხი კრებამ იანვრამდე გადაუწყვეტელი დასტოვა. ამავე კრებაზე შემუშავებულ იქმნა პროგრამა კულტურულ მუშაობისა სანერგეებსა და მამულებში. დასასრულ კრებამ დაადგინა: მიეცეთ 200 მანეთი საჩუქარი ამ ზაფხულს საფილოქსერო პარტიაში იმ მომუშავე მუშებსა და გამომკვლეველთ, რომელთაც კეთილსინდისიერად იმუშავეს.

✦ **ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების** საბჭოს კრება დღეისთვის არის დანიშნული.

✦ **სრულიად რუსეთის რკინის გზათა მიმოსვლის ინჟენერთა კრება** 13 ოქტომბერს დაიწყო რკინის გზის სადგურის შენობაში. კრებაზე გამოცხადდა 40 მეტი ინჟენერი, კრების თავმჯდომარედ აირჩიეს პეტერბურგის გზათა მიმოსვლის ინსტიტუტის დირექტორი ბ-ნი კარიეშა. კრების გახსნას დაესწრნენ: ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი ბარონი ფონ-დერ-როოპი, მისი მოადგილე ზურაბოვი და რკინის გზის უმაღლესი წარმომადგენელნი. ამ დღეს წაკითხულ იქმნა რამდენიმე სპეციალური მოხსენება. ამავ დღეს არჩეულ იქმნა რამდენიმე კომისია, რომელიც საღამოობით იმუშავებს. კრება 20 ოქტომბრამდე გასტანს. დრო-გამოშვებით კრების მონაწილენი სხვა და სხვა ალაგს დაათვალიერებენ. 14 ოქტომბერს რკინის გზის ლაზარეთი დაათვალიერეს. განზრახვა აქვთ, დაათვალიერონ სანაინი, ბათომი, ჩაქვა და სხვა.

✦ დღეს, საღამოს 8 საათზე, თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოში (ბელინსკის ქუჩა, № 2) **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების** წევრების ჩვეულებრივ საზოგადო კრება უნდა მოხდეს. საგანი კრებისა იქნება: 1) მ. ჯანაშვილის მოხსენება—„არაგვის ხეობა“ (ისტორიული, ეთნოგრაფიული და პოლიტიკური განხილვა), და 2) ახალი წევრების არჩევნები. კრებას გარეშეთაც შეუძლიანთ დაესწრონ. მოხსენების გეგმა:

1) ხეობის საზოგადო განხილვა. დარიელის ყელი. მყინვარი და თერგი. 2) არაგვისა და მის მიდამოს სილამაზე. მცხეთა—ბუდე ქართველებისა და ქრისტიანობისა. 3) მოკლე აღწერა ბაზალეთისა, გუდამაყრისა, მთიულეთისა და ხევისა. ცნობები გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დებიდან“, ვახუშტის გეოგრაფიიდან და ვახტანგ ირაკლის ძის განჩინებიდან. 4) უმთავრესი დაბა-სოფლები. 5) აქაური მწერლები. 6) ერისთავები და მათი დინასტიები. 7) მწერალი მიტრაპოლიტი რომანოზ ერისთავი. მისი „წიწწილი ღალადებისა“. 8) დასკვნა. 9) დამატებანი: ა) სიგელ-გუჯრები ერისთავებისა და სხვათა შესახებ ამ ხეობისა, ბ) სურათები ერისთავის ვამეყისა და მის მეუღლის დუალრდუხტ-დომნესი და მწერლის მიტრაპოლიტის რომანოზისა.

✦ **ქალაქების წარმომადგენელთა კრება.** ქალაქის საბჭომ დაადასტურა ქალაქის გამგეობის დადგენილება, რომლითაც 17-და 21 ნოემბრამდე ტფილისში მოწვეულ უნდა იქნას კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა ყრება. კრების მოსაწვევად გადადებულია 1,500 მან. კრებაზე მოწვეულია სულ 350 კაცი. ტფ. ქალაქის საბჭომ ამ კრებაზე თავის მხრით ხუთი წარმომადგენელი აირჩია: ს. თ. ქრელიშვილი, ი. მ. დოლუხანოვი, პ. ა. გოთუა, შ. ვ. ალექსი-მესხიშვილი და პ. მ. დოლუხანოვი.

✦ **ლომბარდების წარმომადგენელების კრება** დანიშნულია პეტერბურგში ამ თვის ბოლო რიცხვებში. ქალაქის საბჭომ დაადგინა, კრებაზე მონაწილეობის მისაღებად გაგზავნოს ქალაქის ლომბარდის გამგედ ახლახან არჩეული ბ-ნი კაფიევი, რომელსაც დაევალა, დაათვალიეროს პეტერბურგისა, მოსკოვისა და რიგის ლომბარდები. გზის ხარჯად ბ-ნ კაფიევს 250 მან. დაენიშნა.

გორი.

✦ როგორც ამას წინად გატყობინებდით, ცნობილმა ქველმოქმედებმა **ძმ. ზუბალაშვილებმა დიდი თანხა შესწირეს** ადგილობრივ ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის გასამშვენიერებლად. ეკლესია საფუძვლიანად გაამშვენიერეს როგორც გარედან, ისე შიგნიდან. მუშაობა მალე დასრულდება, რადგან შიგნიდან მხოლოდ მხატვრობა და აკლია.

✦ როგორც ამას წინადაც იყო „სახ. გაზეთში“ მოხსენებული, ადგილობრივ გიმნაზიებთან, როგორც ქალთა, ისე სავაჟოსთან, **დაარსდა მშობელთა წრეები.** ორივე წრემ უკვე მოაწყო გიმნაზიებთან საუზმე. მორიგეობენ მშობლები. ფასი საუზმისთვის თვეში ღირს 1 მ. 50 კ. განზრახვა აქვთ, უფასოდ აძლიონ საუზმე ყოველ დღე მორიგეობით ხუთ-ხუთ ღარიბ მოწაფეს, რომელთაც საუზმის ფასის გადახდა არ შეუძლიანთ.

✦ ამ მოკლე ხანში „სახ. უნივერსიტეტი“ კლუბის საზამთრო შენობაში გამართავს იაფ-ფასიან წარმოდგენას. წარმოდგენილი იქმნება „მეზობლები“, დრამა ტ. რამიშვილისა. მონაწილეობას იღებენ ადგილობრივი სცენის მოყვარენი.

✦ როგორც ხმები მოდის სოფლებიდან, იქ კვლავ მძვინვარებს თურმე ქათმის ხოლერა. ამის გამო ბაზარზე დიდძალი შინაური ფრინველი შემოჰყავთ და ჩალის ფასადა ჰყიდიან.

რედაქციისაგან

რედაქციისაგან სრულიად დამოუკიდებელ სხვადასხვა მიზეზისა გამო, მეორე პრემიის ბეჭდვა დაგვიანდა. წიგნი ამ ჟამად უკვე იბეჭდება. რედაქცია ყოველ ღონისძიებას იღებს, დაპირებული პრემია—პროფ. ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“ მიმდინარე წელს უსათუოდ დაურიგდეს წლიურ ხელისმომწერლებს.

ტფ. ქალაქის საბჭო

14 ოქტომბრის კრება.

კრება იწყება საღამოს რვა ნახევარ საათზე ქალაქის მოურავის ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით.

ხმოსანი თოიძე (გამგეობას). აგერ მესამედ შემომაქვს შეკითხვა ქუჩებისთვის სახელის დამრქმევ კომისიის შედგენის შესახებ. სად არის ეს კომისია? რატომ არ ადგენთ, როდესაც ამ კომისიის მოქმედების ჩქარი დაწყება ფრიად საჭიროა?

თ-დი ა. მ. არგუთინსკი-დოლგორუკოვი (გამგეობის წევრი). ქუჩებს სახელების დარქმევა განსაკუთრებით ვაკეზე ესაჭიროება. დღემდე ვაკეს დაგეგმის პროექტი არ იყო. ახლა პროექტი შედგენილი და დამტკიცებულია, ამიტომ კომისიაც ჩქარა დაიწყებს მუშაობას.

ხმ. პ. მ. დოლუხანოვი. მსურს ვიცოდე, ქალაქის გამგეობა სასმელ წყალს სისტემატიურად იკვლევს ხოლმე თუ არა? ქალაქში სხვადასხვა გადამდები ავადმყოფობა, განსაკუთრებით სახადი, მძვინვარებს და იქნებ ამ ავადმყოფობათა გაჩენის მიზეზი წყალია? მერე: ქალაქის საელექტრონო სადგურის სინათლეს დღემდე სულ ციმციმი გააქვს ხოლმე; იცის ეს გამგეობამ თუ არა და თუ იცის რა ღონისძიებანი მიიღო საქმის მოსაგვარებლად?

თ-დი ა. მ. არგუთინსკი-დოლგორუკოვი. წყალს ანალიზს ვუშვრებით ხოლმე. 8 ოქტომბერსაც შევამოწმეთ და სრულიად საღი აღმოჩნდა. ასე რომ ავადმყოფობასთან წყალს კავშირი არა აქვს. ამას გარდა სახადი არც ისე მძვინვარებს, როგორც გგონიათ. ყოველ კვირაობით გამგეობას ცნობები მოსდის ავადმყოფობათა შესახებ. უკანასკნელ კვირას ამ ცნობებით მხოლოდ 4 შემთხვევა იყო სახადით ავად გახდომისა. რაც შეეხება ელექტრონის სინათლის ციმციმს, ამაზე უნდა მოგახსენოთ, რომ დიზელების პარალელურ მუშაობას უკვე მიაღწიეს; ახლა ჩქარა ჩამოვა ტფილისს პროფესორი არტემიევი და მის მონაწილეობით დაწვრილებით შევამოწმებთ სადგურს. შეიძლება დიზელების მოუწყობლობის ბრალიც იყოს სინათლის ციმციმი.

ხმ ა. ს. ბაბავი მკვახედ და მტკიცედ ეკითხება გამგეობას: აგერ ორი წელიწადია ვერის პარკის მახლობლად მტკვრის ნაპირიდან ქვიშასა ჰყიდიან. მე მინდა ამის შესახებ სრული და გადაჭრილი პასუხი მივიღო: რამდენი ქვიშა გაიტანეს იქიდან, ვისი განკარგულებით, ვისი ზედამხედველობით და რა ფასად. კარგად ვიცი, ქვიშას ზიდავენ საჯარო ვაჭრობის მოუხდენლად; ამასთანავე ამ საქმის გამო არ მოიპოვება გამგეობის რაიმე დადგენილება. ქვიშის გაზიდვა ახლაც სწარმოებს და ქალაქის კასაში კი მის ფასად ორის წლის განმავლობაში არც ერთი გროში არ შესულა.

ა. ი. ხატისოვი. ამ შეკითხვის გამო ვრცელ პასუხს მომავალ ორშაბათს წარმოვადგენთ. ახლა ვიტყვი, რომ ქვიშის გაზიდვით ქალაქს სარგებლობა ჰქონდა.

ა. ს. ბაბოვი. ახლა არ არის საჭირო მაგაზე ლაპარაკი. რა სარგებლობაც ჰქონდა ქალაქს, ეგ მოდი მომავალ ორშაბათს დაგვიმტკიცეთ ციფრებით.

ხმ. კეილი ქალაქის გამგეობის ყურადღებას აქცევს იმ გარემოებაზე, რომ ქალაქის დახურულ თუ ღია ბაზრებში დიდი სივიწროვეა და სთხოვს, ამის წინაამდეგ ღონისძიებანი მიიღოს.

ა. ი. ხატისოვს საჭიროდ მიაჩნია ხმოსნებისთვის ზოგიერთ ცნობის გადაცემა „კრუჟოკ“-ის შენობის შესახებ: „კრუჟოკ“-ის შენობა უკვე დასრულდა და „კრუჟოკ“-ი ხვალ გადავა ახალ სადგომში. რადგანაც ქალაქს მოულოდნელად დიდი ხარჯი დაატყდა თავსა, „კრუჟოკ“-ს ქირად მოსთხოვა 17,000 მან. წელიწადში ნაცვლად წინად აღთქმულ 15,000, მანეთისა. „კრუჟოკ“-ი ამ წინადადებას დასთანხმდა. ჩქარა მზად იქნება შიოევისეულ სახლის საფასადო ნაწილის პროექტიც და თქვენ წარმოგიდგენთ განსახილველად.

ა. ს. ბაბოვი აღნიშნავს, რომ როდესაც განხორციელდება სრული პროექტი შიოევისეულ სახლის ახალ შენობისა, მაშინ საჭიროდ გახდება ახლანდელ საკლუბო შენობის დანგრევა და მაშასადამე ამ შენობაზე დახარჯულ ფულის ამაოდ გადაყრაც. ისიც საჭიროა ვიცოდეთ, შენობაზე შიოევისეული თანხა უნდა დაიხარჯოს თუ არა?

ა. ი. ხატისოვი. ფულს ქალაქი დახარჯავს და შემდეგ თვით შენობის ქირიდან აინაზღაურებს, მაგრამ ამის გამო საბჭოს ჩქარა ცალკე მოხსენება წარმოედგინება.

ხმოსანს სვეშნიკოვს საჭიროდ მიაჩნია, მადლობა გადაუხადოს გამგეობას, რომელმაც „კრუჟოკ“-ისთვის შენობა ასე უცბად ააგო.

ა. ს. ბაბოვი. მადლობა ნაადრევია. ჯერ უნდა გავიგოთ, შენობა როგორია და მასზე რამდენი დაიხარჯა და შემდეგ მადლობაზე უნდა ვილაპარაკოთ.

იწყება ქალაქის მოურავის მოხსენება: გუბერნატორისაგან შემდეგის შინაარსის წინადადება მივიღე: „ადგილობრივ მეურნეობის მთავარ სამმართველოს საქალაქო განყოფილება იტყობინება, რომ საქალაქო ცხოვრებაში უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში დიდი ცვლილება მოხდა. ახლანდელი საქალაქო დებულება კი, რომელიც გამოცემულია 20 წლის წინად (1892 წელს), აღარ აკმაყოფილებს ქალაქთა ცხოვრების მოთხოვნილებებს. ამიტომ საქალაქო დებულების გადასინჯვა მთავრობამ საჭიროდ აღიარა. სხვათა შორის, დიდი მნიშვნელობა აქვს საკითხს საქალაქო არჩევნების შესახებ. ამისთვის საჭიროა აღინიშნოს, ქალაქის მცხოვრებნი რა ქონებისა, განათლებისა და ხელობის პატრონები არიან და სხვა... გიგზავნით რა ამასთანავე საგანგებო ტაბლიცებს, გთხოვთ შეავსოთ იგი საჭირო ცნობებით და 15 ოქტომბრამდე აუცილებლად გამომიგზავნოთ“. წინადადება—დასძენს ქალაქის მოურავი-გვიან მივიღე და რადგანაც ზედმიწევნით ცნობების შეკრება შეუძლებელი იყო, ამიტომ გავუგზავნე ის ცნობები, რომლის შეკრებაც მოვასწარი.

აქვე საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ შემდეგი: ქალაქის მოურავს სულ ხუთი ტაბლიცა მიუღია. ამათში ტაბლიცა № 1 შეიცავს ცნობებს ქალაქის მცხოვრებთა შესახებ ეროვნების მიხედვით. ტაბლიცა სამ განყოფილებისაგან შესდგება; პირველი განყოფილება: მცხოვრებთა მთელი რიცხვი 1913 წლის 1 იანვრისთვის, მესამე განყოფილება უცხოელნი. მეორე განყოფილება ერთს უცნაურობას შეიცავს: ეს შეიცავს რუსეთის ქვეშევრდომთა რიცხვს, რომელნიც მოხსენებულნი არიან ცალცალკე სვეტში: რუსნი, ნემცები, პოლონელები, ლიტველნი, ლატიშები, ესტონელები, მაჰმადიანნი, სომხები, ებრაელნი და დანარჩენნი. ამ რიგად ტაბლიცის მიხედვით ქართველ ტომის ხალხი, რომელსაც ტფილისში მესამე ადგილი უჭირავს თვის რიცხვით, ცალკე სვეტში არ უნდა იქმნას მოხსენებულნი და უნდა მოაქციონ ამ „დანარჩენებში“.

ხმ. ი. სულაბერიძე დიდს გაკვირვებას აცხადებს ამ უცნაურობის გამო და ამბობს: პეტერბურგში რომ დაავიწყდეთ ქართველ ტომის ხალხი, ეს კიდევ ძალიან გასაკვირი არ არის, მაგრამ ტფ. ქალაქის გამგეობის საქციელი კი პირდაპირ გაოცებას იწვევს: მან ხომ კარგად იცოდა, რომ ქართველთ რიცხვით მესამე ადგილი უჭირავთ ტფილისში? რატომ შესაფერი ღონისძიება არ მიიღო? დასასრულ ხმოსანი წინადადებას აძლევს გამგეობას, გუბერნატორის საშუალებით შუამდგომლობა აღძრას სამინისტროს წინაშე, რათა ქართველ ტომის ხალხი ცალკე სვეტში მოაქციონ.

მიეცეს თუ არა ხილისა და ბოსტნეულის მეორე გამოფენა-ბაზრის მომწყობ კომიტეტს ხარჯების გასასტუმრებლად ფული,—ეს საკითხი მოულოდნელად კამათს იწვევს.

ქალაქის გამგეობა საბჭოს წინადადებას აძლევს გამოფენა-ბაზრისთვის 200 მ. გადასდოს.

ხმ. მაზმანოვი. გამოფენა-ბაზარს მთელის კავკასიისთვის აქვს მნიშვნელობა. მე მიკვირს გამოფენის კომიტეტმა ჩვენ მოგვმართა და არა ერევანსა და, თუ გინდათ, ქუთაისს, რომლის გუბერნიებმაც გამოფენაზე დიდძალი ექსპონატები გამოგზავნა? ჩვენ ისედაც ნივთიერად ხელმოკლენი ვართ.

ა. ი. მიტკევიჩი უფრო შორს მიდის და ამბობს: ჩვენ არავითარი უფლება არა გვაქვს, ამ საქმისთვის რაიმე ფული გავიღოთ, რადგანაც კანონით მოვალენი ვართ, ფული დავხარჯოთ მხოლოდ ადგილობრივ საჭიროებათა დაკმაყოფილებაზე. ჩვენ კი არავითარი დამოკიდებულება არა გვაქვს მებაღეობასა და მეხილეობასთან. ჩვენ აქ ვართ სახლის პატრონთა წარმომადგენელნი და არც ერთი მეურნეობას არ მივსდევთ.

ა. ი. ხატისოვი ამ განცხადებით მეტად განცვიფრებულია და აღნიშნავს, რომ საბჭო მთელის ქალაქის მცხოვრებთა წარმომადგენელია, რომ მეხილეობის გაუმჯობესებაში ტფილისი, როგორც კავკასიის ცენტრი, ყველაზე მეტად თუ არა ნაკლებ მაინც არ არის დაინტერესებული.

საბჭო გამგეობის წინადადებას ეთანხმება.

განსახილველია სარევიზიო კომისიის მოხსენება დიდის მთვრის ქუჩის მოსაკირწყლელ მასალის გამო. მოიჯარადრემ ვ. ზ. მირზოევმა ქუჩის მოსაკირწყლად მასალა დაამზადა, მასალა დაათვალიერა ქალაქის ტეხნიკოსთა კომისიამ და 85 პროც. უვარგისად იცნო. ამის შემდეგ მასალა ქალაქის გამგეობამ ორჯელ დაათვალიერა. პირველად უვარგისად იცნო 10 პროც. მასალისა, ხოლო მეორედ 2 პროც. მასალა ჩაიბარა კიდეც. ამის შემდეგ, როცა წინასწარი სამუშაო ქუჩის მოსაკირწყლად უკვე დაწყებული იყო, მასალა სარევიზიო კომისიამ დაათვალიერა ი. ხუნუნცის მეთაურობით და უვარგისად იცნო 67 პროც. ამის გამო სარევიზიო კომისიამ ქალაქის გამგეობას განცხადება გაუგზავნა, რომლითაც აღნიშნავდა, რომ ქალაქის გამგეობამ თვის უფლებებს გადაამეტა კონდიციის დარღვევით და სთხოვდა, განცხადება საბჭოსთვის წარედგინა. გამგეობა ასეც მოიქცა.

რადგანაც სარევიზიო კომისია განცხადებაში ბრალსა სდებდა გამგეობას, ამიტომ ქალაქის მოურავი ჯაჭვს იხსნის და თავმჯდომარეობას ულოცავს ხმ. მ. ვ. ლუნკევიჩს, რომელიც ასეთ შემთხვევებისთვის საბჭოს თავჯდომარედ არის არჩეული.

განცხადებასთან ერთად საბჭო ისმენს გამგეობის ახსნა-განმარტებას. გამგეობა ა. ი. ხატისოვის პირით ამბობს, კონდიცია დარღვეული არ არის და არც ქალაქს ზარალი რაიმე მოსვლია. დასასრულ აღნიშნავს, რომ სარევიზიო კომისიას საგანგებო ინსტრუქციის ძალით ჯერ გამგეობის ახსნა-განმარტება უნდა მოესმინა და თუ ამით არ დაკმაყოფილდებოდა, ერთის თვის შემდეგ განცხადება საბჭოსთვის უნდა წარედგინა.

ი. მ. დოლუხანოვი. აღნიშნავს, რომ აქ სარევიზიო კომისიას ინსტრუქცია დაურღვევია და მოეხერხა იმისა, რომ საგნის არსებიდან განხილვა გადაიდოს.

პ. მ. დოლუხანოვი. სარევიზიო კომისიას ინსტრუქცია დაურღვევია, მაგრამ არც გამგეობას უნდა დაერღვია ინსტრუქცია და განცხადება ჩვენთვის ახლა არ უნდა წარმოედგინა.

ი. ნ. ხუნუნცი. (სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე). ეს განცხადება მიიღეთ თუ გინდ წერილობით შეკითხვად, რომლის ნებაც ყოველ ხმოსანს ყოველ დროს აქვს. საქმე ის არის, ნება აქვს, თუ არა გამგეობას კონდიციას გადაუხვიოს და კონდიციაში აღნიშნული მასალა შესცვალოს.

ა. ხატისოვი. მართალია, გამგეობამ ინსტრუქცია დაარღვია იმით, რომ განცხადება ასე ჩქარა წარმოგიდგინათ, მაგრამ ამის მიზეზი პირველი ის არის, რომ მისთვის არავის დაეწამა საქმის განზრახ დაგვიანება და მეორე ის, რომ სამუშაო იქ უკვე დაწყებულია და საკითხი ჩქარა გადაწყვეტას მოითხოვდა.

ა. ს. ბაბოვი. საჭიროა განცხადების არსებითად განხილვა ახლა, მადლობა ღმერთს, ძლივს ვნახეთ, რომ სარევიზიო კომისიას უმუშავნია და საკითხი განსახილველად წარმოგვიდგინა.

ხმოსნები დიდხანს კამათობენ. გზადა-გზა ირკვევა, რომ სარევიზიო კომისია იმას კი არ აღნიშნავს, რომ მასალა ცუდის ღირსებისაა, არამედ იმას, რომ ქალაქის გამგეობა, როგორც აღმასრულებელი ორგანო, საბჭოს მიერ დავალებულ საქმეს სწორედ არ ასრულებს.

ხმ. ხუნუნცი ერთ-ერთ თვის სიტყვის დროს აღნიშნავს, რომ ქალაქის გამგეობა სარევიზიო კომისიას დროზე არ აძლევს ხოლმე პასუხებს, ხშირად წელიწადიც გადის პასუხის მიღებამდისო.

ა. ხატისოვი. სარევიზიო კომისია ორის წლის განმავლობაში სულ 146 ჯერ შეგვეკითხა და სუყოველთვის ჩქარა იღებდა პასუხს, გარდა ორისამის შემთხვევისა, როდესაც შეუძლებელი იყო ჩქარა პასუხის მიცემა.

ხანგრძლივ კამათის შემდეგ, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ: ანტონოვი, მიტკევიჩი, გოთუა, ქანანოვი, ხარაზიანი და სხვანი, საბჭო ადგენს: ქალაქის გამგეობის ახსნა-განმარტებანი დაუბრუნოს სარევიზიო კომისიას.

ჟურნალისტის დღიური

148.

სახლის პატრონი.

ყოველს ადამიანს თავისი განსაკუთრებული ფსიხიკა აქვს. რატომ სახლის პატრონსაც არ უნდა ჰქონდეს თავისი ფსიხიკა? რომ ეს ყოვლად ბუნებრივია, დაამტკიცა ხმოსანმა მიტკევიჩმა. რა საჭიროა მეხილეთა საზოგადოებას ოცი თუმანი მივცეთ, ჩვენ არც ბოსტანი გვაქვს და არც ბაღი, ჩვენ მხოლოდ სახლის პატრონები ვართო, უთქვამს ხმოსან მიტკევიჩს. ხმოსანის არგუმენტი იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ქალაქის მოურავს სახეზე გაუგებრობა აღებეჭდა. აღარ ვიცი, როგორ გიპასუხოთ, როგორ დაგიმტკიცოთ, რომ ქალაქის მცხოვრებლებიც დაინტერესებულნი არიან ამ საქმეში, წაიკითხავდა ადამიანი ხატისოვის სახეზე. მგონია ტფილისის მცხოვრებლები ხილსაცა სჭამენ, არსად არ შევხვედრივართ, რომ ვისმეს მიტკევიჩის სახლიდან აგური გამოეგლიჯოს და ვაშლის მაგიერად ჩაედოს პირში. თითონ მიტკევიჩიც უეჭველია კარგი ჯიშის ვაშლებს მოიკითხავს ხოლმე მაღაზიაში და ნასიამოვნები არ დარჩება, თუ კალვილის ნაცვლად მაჟალო ან ხეჭეჭური მიაჩეჩეს.

ხუმრობა იქით იყოს, მაგრამ მაინც ფრიად გასაკვირველია, რომ ტფილისის ხმოსანთა შორის არის თუნდაც ერთი ისეთი ეგზემპლიარი, რომელსაც ეჭვი ებადება, ვალდებულია თუ არა ქალაქის თვით-მმართველობა, რომ ქალაქში კარგი სანოვაგე იყიდებოდეს. მაშ რაღად აშენებდა ქალაქის თვითმმართველობა საყინულეებს, რად უხაროდა მას, როდესაც სანოვაგის და ხილის გადასაზიდად განსაკუთრებული ვაგონები შემოიღეს? ორიგინალური აზრისა ყოფილა ბ-ნი მიტკევიჩი ქალაქის თვითმმართველობის დანიშნულების შესახებ, მაგრამ, თუ კარგად ჩავუკვირდებით, იქნება ცხადი გახდეს, რომ ეს ორიგინალობა სახლის პატრონის ჩვეულებრივ ორიგინალობაზე შორს არ მიდიოდეს. ქალაქში კი მარტო სახლის პატრონები არა სცხოვრობენ...

შინაური.

მიხრან ანანოვის დაბრუნება

შაბათს საღამოს განთავისუფლებული მიხრან ანანოვი ტყიბულის მატარებლით ქუთაისს ჩამოვიდა. ქუთაისის სადგურზე ანანოვს მეუღლისა, ძმისა და ახლო ნაცნობებს გარდა, გარეშე ხალხიც ბლომად დაუხვდა. გრძნობიერი სცენა იყო მისრანებთან შეხვედრა. გარეშეთა ცრემლიც გამოიწვია ამ სცენამ. სადგურიდან ავტომობილით ცოლთან და ძმასთან ერთად აჯამეთს წავიდა.

გატაცების დღეს, როგორც თვით მიხრანის ნაამბობიდან ვიცით, იგი ჩქარა გაუცილებიათ აჯამეთის ტყისთვის. იმ დღეს ოც ვერსზე მეტი გზა გაუვლიათ. სამს დღესა და ღამეს ასე ატარებდნენ თურმე. ოთხი კაცი იყო მასთან, ყველა ზრდილობით ეპყრობოდა, ღამე ტყეში ლოგინს უშლიდნენ, საჭმელ-საჭმელს არ აკლებდნენ, პატივსა სცემდნენ. ერთხელ, როცა მომეტებულად დაიქანცა თურმე, ორმა ხელები გადააჯვარედინეს და წინადადება მისცეს: დაგვაჯექი და წაგიყვანთო. მაგრამ ის „საცოდავებიც“ დაქანცული იყვნენ უზომოდ. თქვენ თურმე სხვა კაცი ყოფილხართ, აი, გაზეთშიც სწერენო (გაზეთები ჰქონდათო). ვხედავთ, რომ მცხოვრებნიც სწუხან თქვენს დატყვევებასო. დარწმუნდით, არას გავნებთ, თქვენს მოსახვედრ ტყვიას ჩვენ მივუშვერთ გულსო. თუ, ვინიცობაა, მდევრებმა მოგვაკლიეს, თქვენ განზე გადექით და გაწექით და ცოცხალი დავრჩებით, თუ დავიხოცებით, თქვენ მაინც უვნებლად დარჩებითო.—ასე ჯენტლმენურად მეპყრობოდნენო—უთქვამს ანანოვს. ხუთს დღეს გამოქვაბულში ჰყოლიათ, ალბად, ჩხარს ზევით, კლდეებში. გასულ პარასკევს აჯამეთში ცნობა მისულა, რომ დღეს საღამოს მეხუთე საათზე ანანოვს ბაღდადის გზა-ტკეცილზე გამოვიყვანთ და შეხვდითო, მაგრამ იმ დღეს არაფერი, მეორე დღეს, შაბათს კი ტყიბულიდან მოვიდა ცნობა—ანანოვი აქ არის და სამი საათის მატარებლით ქუთაისში იქნებაო. პარასკევს ღამით ტყიბულიდან 5 ვერსის მანძილზე გამოუყვანიათ, ლიანდაგზე გაუშვიათ და იმ ექვსასი მანეთიდან, რომელიც ანანოვს ჯიბეზე ჰქონია წაულიათ, ერთი თუმანი და კარგი ნაბადიც მიუციათ.—აქეთ ტყიბულია, 5 ვერსზე, იქით მეორე სადგური, 8 ვერსზე, და საითაც გენებოთ—იქით წადითო და თან მეთაური, რომელიც ჩინებულად ლაპარაკობდა რუსულადაც, გადამეხვია და გადამკოცნაო. სიმართლე გითხრათ, მეც გულიანად გადავკოცნეო—უთქვამს ანანოვს. წასვლა ტყიბულისაკენ გადაუწყვეტია, ღამე მეისრის ქოხში გაუტარებია და დილით ტყიბულს ასულა, საიდანაც დეპეშები დაუგზავნია შინ, ტფილისსა და ქუთაისში. სოფლელები გულმხურვალედ შეგებებიან მას.

(„იმერეთი“).

მალარიის წინააღმდეგ ბრძოლა

ციებ-ცხელება და მალარია იმდენად ცუდი სენია, რომ, თუ მას თავიდანვე არ ებრძოლა კაცი, სრულებით დაასუსტებს მის ორგანიზმს და ბოლოს კიდევაც ბოლოს უღებს მას. ჩვენი ქვეყნის ზოგიერთი მხარე ციებ-ცხელებიანია. აქამდე მის წინააღმდეგ მხოლოდ ქინა-ქინას თუ ხმარობდნენ. მაგრამ ბრძოლა მის წინააღმდეგ ისეთი ძნელია, რომ საჭიროა მთელი ორგანიზაცია. მალარიის წინააღმდეგ კარგად დაყენებული ბრძოლის საქმე მხოლოდ მაშინ შეიძლება განხორციელდეს, თუ საქმეში ჩაერევიან როგორც საზოგადოებრივი ჯგუფები, ისე კერძო პირებიც. ამისათვის კი საჭიროა ფართო გაცნობა იმ მეცნიერულ-დასაბუთებულ ბრძოლის საშუალებათა, რომელთა სინამდვილე დამტკიცებულია ხანგრძლივი ცდით.

მაგრამ, ამასთანავე, საჭიროა, რომ მალარიის წინააღმდეგ ბრძოლაში დაინტერესებული პირები სრულის შეგნებით მოეკიდონ საქმეს! ამიტომ საჭიროა ამ სენის შესწავლა, მისი დასნეულების მიზეზების გამორკვევა. ამავე საკითხთან მჭიდროდ დაკავშირებულია კოღოს ცხოვრებისა და მისი ნაირ-ნაირობისა შესწავლა, რომელთაგან მხოლოდ ზოგიერთი ჯიში ატარებს და ავრცელებს სხვა და სხვა გადამდებ სენს.

რომ შესაძლო გამხდარიყო ყველა კითხვებზე პასუხის მიღება, კავკასიის სამალარიო კომიტეტის დადგენილებით ამ კომიტეტთან დაარსდა „ცნობების მიმცემი ბიურო“. ბიურო იმყოფება ტფილისში, მიხეილის საავადმყოფოს შენობაში, და მოქმედებს განსაზღვრულ დროის განმავლობაში, როგორც გაზეთებშია გამოცხადებული. ბიუროში მიმართვა შეიძლება წერილობითაც. ბიუროსთან არსებობს საჩვენებელი გამოფენა იმ საგნებისა და საშუალებათა, რომელთაც ხმარობენ მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის დროს. ბიუროს მოქმედება შემდეგში გამოიხატება:

1) ბიურო იძლევა ყოველნაირ განმარტებას და ცნობას პრეპარატების და სურათების დემონსტრაციით მალარიის პარაზიტოლოგიის შესასწავლელად.

2) ცნობებს კოღოს ბიოლოგიისა და ცხოვრების შესახებ.

3) კოღოების დაჭერისა და გალიებში დაწყვდევისას;

4) უჩვენებს მალარიის მოსარჩენ რაციონალურ საშუალებებს.

5) იკვლევს მალარიან სისხლსა და კანს.

6) უხსნის პროფილაქტიკის ყველა მეთოდს (ქინაქინისას, მექანიურს), აჩვენებს თავის დასაცავ ხელსაწყობს (ბადეები, ფარდები), აცნობს მასალების ფასს და მისი შეძენის საშუალებას და სხვა.

7) ასახელებს კოღოს მოსასპობ საშუალებას და აგრეთვე ხელსაწყობებს და ნივთებს.

8) მოზრდილ მწერთა განადგურება და მწერთა მოსასპობი საშუალება-საწამლებელი და სხვა.

9) აწვდის ცნობებს, თუ როგორ გამოიწერონ და შეიძინონ ხელსაწყობი, მასალები, ფირმების ადრესი, ფასი და სხვა, რაიცა მალარიის კომიტეტის მოღვაწეობას შეეხება.

გარდა ამისა ბიურო აწვდის მსურველს ყოველნაირ ცნობას საავარაკო ადგილის ამორჩევის და სამალარიო ლიტერატურის თაობაზე.

რუსეთი

პირველი აკადემიკოსი, რომელსაც პოლიციამ ოქმი შეუდგინა.

რუსეთის პროგრესიულმა საზოგადოებამ დიდის ამბით იდღესასწაულა „რუსკია ვედომოსტის“ 50 წლის იუბილე. როდესაც სათათბიროს პროგრესისტთა ფრაქციის სახელით დეპუტატი ეფრემოვი რედაქციას მიესალმა, პოლიციამ კრება დაშალა. ასტყდა ჩოჩქოლი, ჩააქრეს ელექტრონი. ამდროს ბოქაულ სტროევს მოეჩვენა, თითქოს აკადემიკოსმა ბუნინმა ხელი გაჰკრა მას, რაც შეხლა-შემოხლის დროს ადვილი შესაძლებელი იყო.

„თქვენ ვინა ხართ?“—კითხულობს ბოქაული. აკადემიკოსი სადარბაზო ბარათს გაუწვდის: „დამსახურებული აკადემიკოსი ბუნინი“. აკადემიკოსი უარჰყოფს, ხელი არ გამიკრავსო. ბოქაული ოქმის შესადგენად მიდის. ოთხს საათს განაგრძობენ ოქმის წერას. ბუნინი ოქმზე ხელს არ აწერს. მოწმეებად არიან აკადემიკოსი ოვსიანიკო-კულიკოვსკი და პროფესორი მანუილოვი. ხელმოუწერელი ოქმი სასამართლოს გადაეცა. კრიტიკოსი ა. გრუზინსკი ისტორიულ ცნობას იძლევა: „ეს პირველი აკადემიკოსია, რომელსაც ოქმი შეუდგინეს“-ო.

ი. გ. წერეთელი ციმბირში.

ირკუტსკში 10 ოქტომბერს ალექსანდრეს საკატორღო ციხიდან განთავისუფლეს ტფილისიდან იქ ჩაყვანილი მეორე სათათბიროს დეპუტატი კაკი წერეთელი.

კ. წერეთელი ციხეში უფრო მეტ ხანს იჯდა, ვიდრე ეს სასჯელით ეკუთვნოდა. სასჯელის ვადის გაგრძელება გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ: კატორღა წერეთელს ციხედ შეუცვალეს და სამშობლოში, ტფილისის ციხეში, მოათავსეს. საცხოვრებელ ადგილად წერეთელს დაუნიშნეს სოფელი მალიშევკა, ბალაგანის მაზრაში, ირკუტსკის გუბერნიაში.

კაკი წერეთელი ჭლექით არის ავად.

სიკვდილით დასჯა.

ხერსონში ჩამოახრჩვეს ორი კატორღელი: ზოლოტკო და კლევკინი, რომელთაც ციხის ზედამხედველის მოკვლისთვის სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა.

სათათბიროს გახსნა.

სათათბირო გაიხსნებოდა გუშინ. პეტერბურგში ამ ჟამად მინისტრები არ არიან. კოკოვცევი რომშია, კასო ლივადიაში, მაკლაკოვიც მიემგზავრება, საზღვაო მინისტრი და საბლერიც არ არიან, სამხედრო მინისტრიც გამგზავრებას აპირებს. პეტერბურგში მყოფი მინისტრები: რუხლოვი, შჩეგლოვიტოვი და მიწად-მოქმედების სამართველოს გამგე კრივოშეინი მოხსნიან სათათბიროს ბოიკოტს თუ არა, არავინ იცის.

სამართალში მიცემის წესი.

იუსტიციის სამინისტრო ახალ პროექტს შეიმუშავებს, რომლითაც ეხლანდელი წესი სამართალში მიცემისა შეიცვლება. ეხლა საბრალმდებლო ოქმს პალატა ამტკიცებს და სამართალშიც ის აძლევს. ახალის პროექტით დამნაშავეს პირდაპირ ბრალმდებელი მისცემს სამართალში, და ამნაირად გაძლიერდება ბრალმდებლის უფლება. ეს ცვლილება გამოიწვია საბჭოს სურვილმა, მინისტრის წინანდელ პროექტის შეტანისას რომ გამოითქვა.

ახალი მინისტრი.

დაბეჯითებით ამბობენ, რომ კასოს ადგილს კონოვალოვი, ეხლანდელი მინისტრის თანაშემწე, ინიშნებაო.

მეორე სათათბიროს ს. დ. ფრაქციის დეპუტატების საქმე.

მეორე სათათბიროს ს. დ. დეპუტატების საქმის გამო სათათბიროში შეკითხვის შეტანას აპირებენ. ამ საქმეში დიდი როლი უთამაშნია ეკატერინე შორნიკოვა-იუდკევიჩის ქალს, რომელიც ერთსა და იმავე დროს პოლიციის აგენტი იყო და ს. დ. ფრაქციის მდივანიც. ეხლახან გამოქვეყნდა სენატის ობერ-პროკურორის დასკვნა შორნიკოვის ქალის საქმის გამო. საქმის ვითარება ასეთი ყოფილა: შორნიკოვის ქალი წევრი ყოფილა 1907 წელს პეტერბურგში არსებულ სამხედრო ს. დ. ორგანიზაციისა, რომელშიაც სხვა და სხვა პოლკის წარმომადგენელნი შედიოდნენ. ამ ორგანიზაციას თავისი დადგენილება გადაუცია მეორე სათათბიროს ს. დ. დეპუტატებისთვის. ეს დადგენილება ფრაქციის ბინაზე მიუტანია შორნიკოვის ქალს და დეპუტატ ოზოლისთვის მიუცია. ამ დადგენილების ასლი მაშინ შორნიკოვის ქალს დამცველი პოლიციისთვის გადაუცია. სწორედ ეს ასლი გახდა საბედისწერო საბუთად, რომლის ძალითად დასაჯეს ს.-დ. დეპუტატები. ეხლა გამოირკვა, რომ დეპუტატების დასჯა შორნიკოვის ქალის პროვოკაციის საქმეა. ამის თაობაზე დეპუტატების გასამართლების დროს დამცველებიც ლაპარაკობდნენ. ეხლა ყველაფერი ცხადი გახდა. სენატის ობერ-პროკურორი მოითხოვს შორნიკოვის ქალის განთავისუფლებას, რადგან ყველაფერს მთავრობის ნებართვით

ჩადიოდა და ხელი შეუწყო მავნე საზოგადოების აღმოჩენასაო.

ყველაზე სასტიკი შეიქნა სასჯელი ქართველ დეპუტატებისთვის. ჩრდილოეთის სასტიკმა ჰავამ და ციხის პირობებმა საქართველოს ნაზ ჰავის შეჩვეულებზე ცუდად იმოქმედა. ჯუღელი და ჯაფარიძე გარდაიცვალნა, მახარაძეს სულით საავადმყოფოში ამოაყოფინა თავი, წერეთელი და ლომთათიძე სასტიკი სენით დასნეულებულნი სამადლო სახლებში არიან მოთავსებულნი. ეხლა დეპუტატები აპირებენ ფარდა აჰხადონ ამ საქმეს და იქნებ ცოცხალთ ცოტათი მაინც შეუმსუბუქონ ბედი.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. სოფოკლეს ცნობილი ტრაგედიის „ოიდიპოს მეფის“ დასადგმელად დრამატიული საზოგადოების გამგეობამ 500 მანეთამდე გადასდო. მზადდება ახალი დეკორაციები და ტანისამოსი. ტრაგედიას დასდგამს ბ-ნი ქორიძე ახალის მიზან-სცენებით. ტრაგედია, ხვალ, ხუთშაბათს უნდა ეთამაშნათ, მაგრამ, ვინაიდან დეკორაციები მზად არ იყო, შემდეგისათვის გადაიდო. ხვალ კი მეტერლინკის ცნობილ პიესას „და ბეატრისას“ წარმოადგენენ.

შაბათს, 12 ოქტომბერს, ქართულს თეატრში კერძო პირმა კონცერტი გამართა. ამ კონცერტის გამმართველმა უტიფრობის ნიმუში გვიჩვენა. პროგრამაში გამოცხადებულთაგან დიდი უმრავლესობა არ მოსულა. ვინც იყო, ისინიც უხეიროდ მღეროდნენ. კონცერტი ორი განყოფილებისაგან შეადგინეს. ორივე განყოფილებაში ერთი და იგივენი გამოდიოდნენ. საღამომ 1-ნახევარ ს. გასტანა, აქედან ნახევარ საათზე მეტი ანტრაქტს მოუნდა. ზრდილობისათვის ბევრი დეკლამატორებს ტაშს უკრავდა, ზოგიც კი ირონიით იწვევდა მომღერლებს. დაბოლოს თეატრი ძლიერ გააშხიარულა ამ უცნაურმა კონცერტმა და სიმღერის დროს სიცილ-ხარხარი გამოიწვია. პროგრამაში ჩვენი მსახიობები: აბაშიძე და გედევანოვიც იყვნენ გამოცხადებულნი. „ვაი-ვუის“ ხმაზე უნდა ემღერათ. მაგრამ იგინი ჩვენ ამ საღამოს სცენაზე ვერ ვნახეთ. სამწუხაროა, რადგან ამ კონცერტით დაინტერესებული საზოგადოება შინაარსიან საღამოსაც აღარ დაესწრება.

სახალხო სახლი. ქართულ სახალხო წარმ. მმართ. წრე 21 ოქტომბერს სდგამს პირველად დრამას იაპონელების ცხოვრებიდან ევროპაში „ტაიფუნი“. ამ წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს „წრის“ ყველა ძალა და ჩვენი ნიჭიერი მსახიობნი **ქ. ნისო ჩხეიძის ასული და ალ. იმედაშვილი.** რადგან პიესას მრავალი რეპეტიცია ეჭირვება, 17 ოქტომბერს მორიგი წარმოდგენა არ იქნება.

იმედია პატივცემული საზოგადოება მხურვალედ შეხვდება ამ წარმოდგენას, მით უფრო, რომ „წრე“ თავის ნივთიერ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად სდგამს ამ დრამას.

ავლაბრის თეატრი. კვირას, 13 ოქტომბერს, ბ. ბ. ივანიძისა და ქევიძის მონაწილეობით წარმოდგენილმა დ. ერისთავის დრ. „სამშობლომ“, აუარებელი საზოგადოება მიიზიდა. ეგონათ, დავტკბებით ამ მშვენიერი, ეროვნული გრძნობის გამღვიძებელი პიესითაო, მაგრამ სამწუხაროდ, ფიქრი არ გაუმართლდათ. პიესა ვერ ითამაშეს სასურველი ანსამბლით. მთავარ როლებს ასრულებდნენ ქ.ქ. ჟურულისა (ქეთევანი) და მარგველაშვილის (ფაიხოში) ასულნი; ბ.ბ. ივანიძე (ლეოხიძე), ქევიძე (ხიმშიაშვილი), სალაყაია (შაჰ-აბაზი) და სხვა... ამათგან მხოლოდ ქ. მარგველაშვილი და ივანიძე მოქმედებდნენ სასურველად, მაგრამ რა უნდა ექნათ მათ, როდესაც სხვანი მათს მოხდენილს მოქმედებას აქარწყლებდნენ. ჟურულმა და ქევიძემ სრულიად ვერ შესძლეს გადმოცემა იმ სულისკვეთებისა და სასოწარკვეთილებისა, რომელსაც ქეთევანი და ლევანი განიცდიან. მეტადრე ბოლო მოქმედებაში, ვითომდა აღელვების გამოსახატავად, აუწერელი ყვირილი გაისმოდა. ბ. სალაყაია ხომ სრულიად დასაწუნი იყო შაჰ-აბაზის როლში, რადგანაც ხმა, მრისხანება და მოქმედება სრულიად შეუფერებელი ჰქონდა. მაისურაძესაც (დიაკონი) ხმა ძალზე ჩასწყვეტოდა და მხოლოდ ლანდი სჩანდა დიაკვნისა.

კარგი იქნება თუ შეამცირებენ რევიზორ-კონტროლერთა, რიცხვს რადგან ისინი უფრო ჰრევენ საქმეს, ვიდრე დამსწრენი. **მიში.**

ბაქო. მოულოდნელად ბაქოში პატარა, მაგრამ კოხტა დასი მოეწყო. ეხლა ჩვენს დასში ოთხი მსახიობი იღებს მონაწილეობას: ქ-ნნი ანდრონიკაშვილისა და ჭმირეჯიბის ასულნი და ბ-ნნი დ. გამყრელიძე და გვარაძე; აგრეთვე სცენის-მოყვარენი. აქ კი ბევრი გამოცდილი და დახელოვნებული სცენის-მოყვარეა. სხვათა შორის უკვე დაიწყო მუშაობა ერთმა საუკეთესო სცენის-მოყვარემ, ნინო ჩაგუნავას ასულმა, რომელსაც შარშანდელ სეზონში სულ არ მიუღია მონაწილეობა. მოგვევლინენ ახალი სცენის-მოყვარენი: საყვარელიძე, ჟუჟუნაშვილი და სხვები. ასეთის დასის წყალობით შესაძლებელი ხდება რთული და ძნელი პიესების რიგიანად წარმოდგენაც, მით უმეტეს, წელს მეტად მუყაითი და ერთგული მუშაობაა. სწორედ ამ მიზეზით აიხსნება ის გარემოება, რომ უკანასკნელმა წარმოდგენამ 13 ოქტომბერს (წარმოადგინეს ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ!“) მეტად კარგად ჩაიარა.

უპირველესად აღსანიშნავია მშვენიერი ანსაბლი. ასეთი ერთსულოვანი და მწყობრი თამაშობა იშვიათად გვინახავს ჩვენს პროვინციალურ სცენაზე. აკი კიდეც ამიტომ დარბაზი მხურვალე ტაშით აჯილდოვებდა მოთამაშეთ. ამ დღეს პირველად გამოვიდა ბაქოს სცენაზე დავით აწყურელი. ეს მსახიობი ჩვენ დიდ სცენაზედაც საუკეთესო ამსრულებელია გიჟის როლისა და ბაქოში ხომ ყველანი აღტაცებაში მოიყვანა. მას ღირსეულად მხარს უჭერდნენ დანარჩენი მოთამაშენი—ქ-ნნი ქარუმიძისა და ჩაგუნავას ასული. ბ.ნნი საყვარელიძე, გ. პავლიაშვილი, გვარაძე, ჟუჟუნაშვილი და სხვანი. პატარა როლების ამსრულებელნიც კი თავიანთ ადგილას აყვნენ.

შემდეგ კვირისათვის დანიშნულია წარმოსადგენად შიუკაშვილის პიესა „ციცინათელა“. ეს პიესა პირველად იდგმება ბაქოს სცენაზე. მზადება დიდია და, ვფიქრობთ, რომ პიესა კარგად დაიდგმის.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

15 ოქტომბერი.

უცხოეთი.

რომი. არჩეულია 175 კონსტიტუციონალისტი—მთავრობის მომხრე, 14 კონსტიტუციონალისტი—ოპოზიციონერი, 38 რადიკალი—სამინისტროს მომხრე, 19 კათოლიკე, 22 სოციალისტი, 16 სოციალისტი—რეფორმატორი, 11 რესპუბლიკელი. ყველა მინისტრი არჩეულია დეპუტატად, გარდა ბერგამასკოსი.

პეკინი. ნანკინის დუდუმ 500,000 გარვანქა სესხი აიღო.

კულჯა. სუინში არეულობის დროს ორი ღენერალი, 4 ოფიცერი და 20 ჯარისკაცი მოჰკლეს.

მადრიდი. მაურამ უარი სთქვა კაბინეტის შედგენაზე და ურჩია მეფეს, ეს საქმე კონსერვატორ დატოს მიანდოს, რომელიც დასთანხმდა კიდევაც. როცა მაურა სასახლიდან გამოვიდა, არეულობა მოხდა. დაატუსაღეს 12 კაცი.

კოკოვცევის ავადმყოფობა.

რომი. კოკოვცევმა ძლიერ მოიკეთა. ტემპერატურა—36,3. თავს კარგად გრძნობს და შაბათისთვის დაბრუნებას აპირებს, თუმცა ექიმები ამას ნაადრევად სთვლიან.

რუსეთი.

რომანოვსკაია. ყუბანის ოლქი. „ხუტორის“ ციხიდან გაიქცა ექვსი კატორღელი, რომელთაც დარაჯებს იარაღი წაართვეს. გაქცეულთ პოლიცია დაედევნა: ორი მოჰკლეს, ორი დასჭრეს, ერთი მიიმალა, ერთიც შეიპყრეს.

მინსკი. დაიჭირეს 10 ებრაელი, რომელთაც გლეხები მალულად საზღვარ გარედ მიჰყავდათ.

ჰელსინგფორსი (ფინლანდია). იპოვეს 7 მეთევზე, რომელნიც გემ „ველკუსტენზე“ დაიღუპნენ. მათ შორის კაპიტან ერბურგის გვამი.

მოსკოვი. გარდაიცვალა პროფესორი ბახმეტიევი. ბუნების მოყვარულთა საზოგადოებამ კოკოვცევი საპატიო წევრად აირჩია.

პეტერბურგი. აღძრულია საკითხი მონღოლეთიდან საქონლის გარდა არაყისა და პურის უბაჟოდ შემოტანის თაობაზე.

სამხედრო სამინისტრომ გადასწყვიტა: გახსნას მეორე საინჟენრო სასწავლებელი და მეოთხე საარტილერო სასწავლებელი კიევში.

განათლების სამინისტრო ყოველ წლიურად მოითხოვს დაბალ სახელოსნო სასწავლებლისთვის 82 ათასს მანეთს.

მიწადმოქმედების მთავარმა სამმართველომ მინისტრთა საბჭოში შეიტანა კანონ-პროექტი 1915 წლისთვის ტეხნიკოსთა მოსამზადებლად, რომელნიც მიწის მომწყობ კომისიებისა და გადამსახლებელ უწყებისთვის ძლიერ საჭირონი არიან.

ახლო მომავალში მთავრობა სათათბიროში შეიტანს ახალ წესდებას ცენზურისა და ბეჭდვითი სიტყვის თაობაზე, სექტანტების მდგომარეობის თაობაზე, საზოგადოებათა და კავშირების კანონს, ბინების სანიტარულ მდგომარეობის თაობაზე, მიწის და ჰაერის სანიტარულ დაცვის პროექტს, ხულიგანობის წინააღმდეგ ბრძოლის კანონს; კანონ-პროექტებს ვილნოს, ვიტებსკის, კიევის, მინსკის, მოგილევის და პოდოლის გუბერნიებში საერობო დაწესებულებათა წესის გავრცელების თაობაზე; ორ აპრილის 1903 წლის ერობის სამეურნეო ნაწილის წესდების ვილნოს, გროდნოს და კოვნოს გუბერნიებში გავრცელების თაობაზე, კანონს ხოლმის გუბერნიაში ერობის დაწესებულებათა შეცვლის თაობაზე, პენსიის ახალი წესდება, ზოგიერთი ღონისძიებისა შაქრის ქარხნების გავრცელების თაობაზე, პოლონეთში უძრავ მამულებზე გადასახადის თაობაზე, ყველა წოდებისათვის სახაზინო მამულზე დასახლების უფლების მიცემის თაობაზე, საშუალო სატყეო სკოლების გახსნის თაობაზე, რიყეებისა და ხევების გამაგრების თაობაზე სავალდებულო დადგენილებანი, საყოველთაო სწავლის შემოღება, სახალხო სკოლების მასწავლებელ ვაჟთა და ქალთა საპენსიო წესდების შეცვლის თაობაზე, დონის რაიონში სახაზინო ქვა-ნახშირის ქარხნების დაარსებისა, რომელნიც სახაზინო რკინის გზებს ნახშირს მიაწვდიან, სახაზინო ადგილების შეძენის თაობაზე, აპშერონის ნახევარ კუნძულზე პროექტი კერძო მამულების სახელმწიფოს სასარგებლოდ იძულებით ჩამორთმევის თაობაზე. გარდა ამისა შეტანილი იქნება კანონ-პროექტები: 1906—1912 წლ. გემების აშენებისა, სამხედრო, საავტომობილო გადასახადის შემოღებისა, სამხედრო მინისტრისადმი ნავთიანი ადგილების დათმობისა, რუსეთის ავტომობილების თავისუფალ რბენის ორგანიზაცია. მობილიზაციის დროს სამხედრო სამსახურში გაწვეულთ არასამხედრო პირთა წესდება, მართლმადიდებელ სამღვდელოს წესდება; უცხო სახელმწიფოს მუშების მიღების შემცირება ციმბირის სამთა-მადნო ქარხნებში, გადასახადის დაწესება ზაბაიკალის მხარეში შემოტანილ მანჯურიის ხორბალზე, ღონისძიებანი საზღვარ-გარეთიდან ხორბლის შემოტანის აღკვეთისა და რუსეთის პურის ფინლიანდიაში გატანის თაობაზე, რუსული ენის შემოღება ფინლანდიის დაწესებულებებში, ფინლანდიის მიერ ჯარის ბინის გადასახადში, რაც შეიძლება მეტი მონაწილეობის მიღება, კანონი ადგილობრივ სასამართლოს შემოღების თაობაზე ზოგიერთ გუბერნიებში, ხულიგნების სასჯელის გაძლიერების თაობაზე და ოლქის სასამართლოს დაარსება ლომსა, პიატიგორსკსა, ბახმუტსა, იშიმსა, დვინსკსა და ცარიცინში.

შავი ჭირი

ნოვოჩერკასკი. 12 და 13 ოქტომბერს ნოვო-პეტროვკაში შავი ჭირით გარდაიცვალა 5 კაცი. სენის გაჩენიდან გარდაიცვალა სულ 34 კაცი. ბრესლავის „ხუტორში“ მოკვდა ორი.

ელიან პროფესორ ზაბოლოტნის. ნოვოპეტროვსკში 7 ექიმი, 12 ფერშალი და 10 სანიტარი მუშაობს. კალაჩში—2 ექიმი, სამი ფერშალი, 2 სანიტარი; ბრესლაველში—2 ექიმი, 3 ფერშალი და ერთი სანიტარი.

ხოლერა

პოლტავა. ქალაქმა ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად გადასდო 115.875 მან., ხოლო ლუბენის ქალაქის გამგეობამ კი 60.000 მან.

ბეილისის საქმე.

კიევი. ბრალმდებელი აცხადებს, სიკორსკი უკედ არის და მისი გამოცხადება ძლიერ საჭიროაო. დამცველები აცხადებენ, სიკორსკი არ გამოცხადებულად ითვლება და უფლებას ვიტოვებთ, როცა გვინდა მოუსმინოთო. გამოაქვეყნეს არ გამოცხადებულ მოწმის არქიმანდრიტ ამვროსის ჩვენებით, რომელიც ამბობს, ებრაელები ქრისტიანის სისხლს სვამენ, მხოლოდ ეს დიდ საიდუმლოებას შეადგენს ებრაელებისასო. ამასთან ჰრილობები 45-მდე უნდა იყვეს, ეგეთია წესი ქრისტიანის სისხლის შოვნისაო. ეს ამბავი არქიმანდრიტისთვის ორს ებრაელს, გაქრისტიანებულ ბერს, უამბნია. დამცველები აღნიშნავენ, მოწმეს ამბავი უვიც ებრაელებისაგან გაუგიაო. გამოაქვეყნეს ტუფანოვის გამოკვლევა ჟენიას სიკვდილის თაობაზე. რომლითაც ბავშის მოწამვლა უარყოფილია. გამოქვეყნდა ოქმი გამოკვლევისა, რომლიდანაც სჩანს, რომ ვალენტინა ჩებერიაკი მუცელისაგან არ გარდაცვლილა. გამოაქვეყნეს პროზექტორ ტუფანოვის გამოკვლევა ჩებერიაკის ხალიჩის ლაქების თაობაზე. გამოირკვა, რომ ლაქები სისხლის არ იყო. პროფ. ნავაშინის გამოკვლევით ამონაჭერი ხეზე 1910 წლის და წინანდელია. გამოცხადდა პროფესორი სიკორსკი, რომელიც ავადმყოფობის გამო სასამართლოს კრებას ვერ ესწრებოდა. საქმეს შეუერთებენ იუშჩინსკის თავის ქალას და შინაგან ნაწილებს. გამოაქვეყნეს იუშჩინსკის გვამის გაჭრის ოქმი. გამოკვლევა პროფესორებმა ობოლონსკიმ, ტუფანოვმა და ექიმმა კარპინსკიმ 26 მარტს მოახდინეს. გრუზენბერგი აღნიშნავს 22 მარტს გვამის სიგრძე 127 სანტიმეტრად არის ნაჩვენები, ხოლო 26 მარტს—132 სანტიმეტრიო, ამასთან ოქმში აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტის საექსპერტიზო კაბინეტში გაიგზავნა თავის ქალა 22 მარტს, როცა ფოტოგრაფიული სურათი 23 მარტს არის გადაღებულიო. ექსპერტი ტუფანოვი განმარტავს, 23 მარტს სხვა ქალა მოიტანეს და იუშჩინსკის ტყავი გადააცვეს და ისე გადაიღეს სურათიო. ზამისლოვსკი გაიკვირვებს, საქმე რა არის? გრუზენბერგი: „მე ფაქტს ავღნიშნავ მხოლოდ“. გრუზენბერგი აცხადებს ჩებერიაკის მთელი ხალიჩა არ იყო გამოკვლეულიო, მხოლოდ ნაწილიო. ტუფანოვი განმარტავს; ის ადგილები გამოვიკვლიეთ, სადაც ლაქა იყო და დანარჩენი ადგილები საეჭვო არც ყოფილაო და ამიტომ მთელი ხალიჩის გამოკვლევა ზედმეტად ვსცანითო. თიხის გამოკვლევის თაობაზე ბრალმდებელი მსაჯულთ ყურადღებას მიაქცევს, რომ გამომძიებელს ფონენკოს ორ ადგილას ამოუღია სანიმუშო თიხა ქარხანასთან, მაგრამ არც ერთი გამოსაძიებელს თიხას არ გავდაო. შემდეგში, განაგრძობს ბრალმდებელი, გამომძიებელს მაშკევიჩს ხუთს ადგილას აუღია მიწა, მაგრამ ჯერაც არ გამოუკვლევიათო. ოთხი ბალანის გამოკვლევის აქტის გამოქვეყნებით ირკვევა, ეს ბალნები, რომლებიც იუშჩინსკის პერანგის ამხანაგზე იპოვეს, არა გავს არც ფერით, არც თავისი მოყვანილობით ბეილისის თავის და წვერის თმას. დღეს ექსპერტებს შეკითხვებს მისცემენ.

შემოწირულება

პატივცემულო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, გადასცეთ ჩვენ მიერ შეგროვილი მცირე შეწირულება ავადმყოფ მგოსანს იროდიონ ევდოშვილს.

შემომწირველთა სია: იოსებ მაისაშვილმა 1 მ. 10 კ. თითო მანეთი: არსენა მაისაშვილმა, ბესო მაისაშვილმა, თადეოზა მელაშვილმა, ლუკა გოგოლაძემ, სოსო მაისაშვილმა, ვასილა ჩლაიძემ, ნიკიფორე კერვალიშვილმა, პავლე ლოთვაძემ, ფილიპე მაისაშვილმა. ათ-ათი შაური: მელიტონ გოგობერიშვილმა, გიორგი ქანგაძემ, ნესტორა მაისაშვილმა, ერმილე კერესელიძემ, ვანო მაისაშვილმა, დიმიტრი როსნაძემ, სიმონა მაისაშვილმა. თადეოზა კერვალიშვილმა 40 კაპ. სულ 14 მან.

სულითა და გულით ვისურვებთ ჩვენი მოჭირნახულე მწერლის ჯანმრთელობას და სიცოცხლის გაგრძელებას.

იოსებ გრიგორის ძე და არსენ თედორეს ძე მაისაშვილები.

სპერმინი

სპერმინ-პელი ერთად ერთი ნამდვილი სპერმინი, ყოველ-მხრივ ნაცადია და მიღწეული ბრწყინვალე შედეგების წყალობით, მოწონებულია მთელი ქვეყნიერობის სახელგანთქმულ მეცნიერების მიერ და მითი წამლობას ურჩევენ ნევრასტენიისა, სქესობრივი უძლურებისა, დაჩაჩანაკებისა, საერთო სისუსტისა, ისტერიისა, ნევრალოგიისა, სისხლ-ნაკლებობისა, პლექისა, ათაშანგისა, ვერცხლის წყლით წამლობის შედეგებისა, გულის ავადმყოფობისა (სიმსუქნე, გულის ფრიალი, სკლეროზი, გულის ჩქროლა, გულის ცემა და მიკორდიტი), არტერიო სკლეროზისა, ლოთობისა, ხერხემლის ძვლის გახმობისა, დამბლობისა, დაღლილობისა და სხვა ავადმყოფობის წინააღმდეგ. ყურადღება უნდა მიაქციოთ სათაურს:

სპერმინ-პელია,

და მოერიდეთ უფასო უვარგის მიბაძვას, ეგრედ-წოდებულს სათესლე ძარღვების წვენს, რომელნიც **სპერმინ-პელიასთან** არც შემადგენლობით და არც მოქმედებით არავითარი საერთო არა აქვთ და ხშირად ჯანმრთელობისათვის საშიშ ნივთიერებას შეიცავენ. **სპერმი პელია** ყველგან იშოვება.

პროფესორი ექიმი პელი და შვილები, ს.-პეტერბურგი.

Поставщики Двора Его Императорскаго Величества.

Метцль. 111309. 1443

ავადმყოფებს!

ექიმ ნავასარდიანის

პირველი კერძო

სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.

დილით:

„606“ და „914“

11—12 ს. შეზხაპუნება

კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. ბეგახაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულიანი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ბეჟიტაშანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი სნეულებანი და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **თ. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.

კ. დ. გურგენიძე. 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერიოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.

საღამოთი:

მ. გ. ბეჟიტაშანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინისა დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი.** 1004

ექიმი **ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 სათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

ვკისრულობთ:

თარგმნას სიტყვა-კაზმულისა და სხვა დარგის ნაწარმოებისას და აგრეთვე ყოველგვარ საბუთის ქაღალდებისას.

კორექტურას ქართულად გამოსაცემ წიგნებისას.

შესწორებას დასაბეჭდად განზრახულ ხელნაწერებისას.

გამოცემას წიგნებისას ავტორთა ხარჯით.

პირობებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე პირადად ამ მისამართით: **ტფილისი**, მუხრანის ქუჩა, **„შრომის“** სტამბის გვერდით, სახლი № 12. ნაშუადღევის 2 საათიდან 7 საათამდე. ხოლო დილის 9—1 საათამდე ბინაზე: ვაკე, ქართულ გიმნაზიის პირდაპირ, სახლი გაჟონისი. ტელეფ. 9-25,

ბაბილინა და ნ. (ნარ-კანი) კურდღელაშვილები.

ოქროს მედალი ოქროს მედალი

Золотая медаль.
Золотая медаль
Похвальный отзывъ за Всероссийскую выставку
въ Н. Новгородѣ въ 1896 г.

მ პ ა ლ ი ე რ ი

მოსკოვის საქარხნო საწყობისა

ვლადიმერ ალპატოვისა

GRAHD-PRIX

ო. მ. უნანიანცის გამგეობით გოლოვინის პროსპ. № 23, სახ. არამიანცისა ტელ. № 14—29. ფასები საქარხნო 8 კ. და უფრო ძვირიც. ალბომები პირველ მოთხოვნისათანავე გამოიგზავნება უფასოდ. 1393

არ გაგონილა!! მხოლოდ 2 მ. 95 კ.



ვგზავნით ქ: ეჭოდ ჩამოთვლილ 14 ძვირფასს ნივთს: 1 მშვენიერ მკვიდრ ჯიბის საათს კაცთათვის—„ანკერ“ (და არა ცილინდრი) ინგლისურ შავ ფოლადისას. იმართება თავის ქარხანაში 36 საათში ერთხელ, ხმა წკრიალა აქვს, 15 ქვიანია. 2. ქალი ათვის საუცხოვო ყელის მეწყვილ, ახალი ფასონისა. 3 ბრილოკი კინემატოგრაფი, კომპასით ან საუკხოვო სანახაობით. 4. ზამშის ბუდე საათისთვის. 5. მოხდენილი ბეჭედი ამერიკულ ოქროსი, „დუბლე“ პარიზული თვალით. 6 სათვალრო ბინოკლი 4 ახრომატიულ შუშით ჩვეულებრივი ზომისა, რომელიც ფრიად მოშორებულ საგნებს აახლოვებს. 7. კურდღლისგან საათის დასაცავი. 8. პარიზის პლასტოგრაფი, ზედმიწევნით მიჩვეული ისხვადასხვა სანახაობით. 9. საამისო ექვსი მეტისმეტად საგულისხმო სურათი. ყველა ამის ფასი მხოლოდ 2 მ. 95 კ., ორი წყება ღირს 5 მ. 50 კ., 4 წყება 10 მ. 50 კ. სეკუნდიან საათით 1 მანეთით **მეტი ღირს.** ხსენებული წყება საათით და ნივთებით საუკეთესო ღირსების და საუკეთესო თვისებისა 3 მ. 95 კ. ორი წყება 7 მ. და 40 კ. ესევე წყებაქალის საათით 3 მ. 70 კ. გასაგზავნი ორწყებამდე—40 კ., ციმბირში გასაგზავნი 75 კ. საათი გვზავნით შემოწმებულ შესწორებულს წუთი წუთზე 8 წლის თავდებობით, ფასდადებით და უბეოდ

მისამართი: И. Штрумфельдъ, ВАРШАВА, Электоральная 11. Отд. 16.

ეს მისამართი ამოსჭერით და კონვერტს ან ღია წერილს დააკარით.

Метцль. 36443. 1337.

მივიღეთ საყინულე-მატარებლით

პეტერბურგიდან

თევზის მრეწველნი

მეგველოვები.

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.

ტელეფონი № 712.

ამურის წითელი ხიზილალა (კეტოვი), სიგი, დვინის ორაგული, გრუზდი, ბრუსნიკა და სხვ.

აგრეთვე იყიდება მაილოვის ხიზილალა

კოლოფით ღ ხმელი სოკო. 1500



ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.